

# საბავშვო საზოგადოებრივი სამსახური



1928

სახელმწიფო

№ 18

# ბ ა ვ ვ ე ბ რ !

## არ ღაივიფყოთ, როე

15 ოქტომბერს სრულდება „პიონერის“  
არსებობის

# ორი წელი

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. პაპაც გაკომუნისტდა — მ. კეჩუაშვილი . . . . .	2	8. ციკლონები და ტიფონი . . . . .	15
2. სწავლის დაწყება — თ. ჩქარეული . . . . .	3	9. ჩინეთის პიონერები — შანი . . . . .	17
3. ორი მგზავრი — გ. პარკაძე . . . . .	12	10. როგორ აკეთებენ კინო-სურათებს . . . . .	19
4. პიონერები ჰაერში — ვ. შ. . . . .	12	11. თანამედროვე ავტო და ავიო-ტექნიკა . . . . .	21
5. სალაში სკოლას — ა. ახტაშევა . . . . .	13	12. რუმინეთი — აღ. გორგაძე . . . . .	22
6. ჩვენ ისევ დაგბრუნდით შინ . . . . .	14	13. ჩვენი ცხოვრება და მოღვაწეობა . . . . .	23
7. 26 კომუნარის ხსოვნას — ვ. ლუარსაშიძე . . . . .	14	14. მოკლე ტალღები — ხანი . . . . .	24
		15. თამაშობანი . . . . .	25

329-153(05)

ჟ-47.

მუშათა კლასის საქმიანობის იხაზ მუხარებელი  
1928-1929 წლები

# პიონერი

1928

30 სექტემბერი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცენტრს) და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრტის მთავარმართველდების ყურნალი

წელიწადი III  
№ 18



უზბეკისტანის პიონერები საბჭოთა სკოლაში.

# პაპას ბიბუნიძის

მ ო თ ხ რ ო ბ ა

საშინელი აღმაშფოთებელი ამბავი გაიგო ქალაქიდან ჩამოსულმა პიონერმა მიტომ. მიტო ფიქრობდა სუსტი კოლექტივის ფეხზე დაყენებას, აქ კი დიდდამ უთხრა: ბავშვებს რაღაც ავადმყოფობა დაერია და ფეხზე ვერცერთი ვეღარ დგებო.

— მერე, დიდდო, ექიმი არ მოიყვანეს? — იკითხა დაღონებით 13 წლის მიტომ.

— არა, შვილო, ექიმი როგორ შეიძლება მოიყვანონ, აბა ის რას უშველის, როცა ბავშვებს „ბატონები“ სჭირთ, ვენაცვალე იმათ მადლსა და სახელსა! — დაატანა ზუზუნით ბებიამ.

— მაშ რა ეშველებათ? — წამოიძახა მიტომ და ყელზე წითელი ყელსახვევი გაისწორა.

— ეე, ვილო, ათასი დეარბივე, მაგრამ არ ესმით, რომ ნემსი არ უნდა იხმარონ, სარეცხი არ უნდა დარეცხონ და ცეცხლი არ უნდა აანთონ. უნდა უმღერონ იავნანა და ბატონები თავისით უშეღავათებენ.

— ეხ, დიდდა, ვერაფერი „ბატონები“ ყოფილან, ხალხის ქუჩკით და სიმშლით ამოწყვეტა სდომებიათ! — წარმოსთქვა მიტომ და გარეთ გავიდა. მიდიოდა აჩქარებით, აღშფოთებული იყო დიდდის ნამბობით.

გვეგები ეფუშებოდა, ბავშვები ავად იყვნენ და მას კოლექტივის ჩამოყალიბება აღარ შეეძლო, თანაც გული მოსდიოდა ყველა იმათზე, ვინც ბრმად ემორჩილებოდა ძველებურ ცრუმორწმუნეობას და უწამლოდ სტოვებდა ავადმყოფ ბავშვებს.

გადასწყვიტა მახლობელი ქალაქიდან ჩამოეყვანა წითელი ჯვრის წარმომადგენელი ექიმი.

— ამხანაგებო! — დაიწყო მიტომ, როცა მის გარშემო მოგროვილი ხალხი დაინახა. მე გავიგე, რომ სოფელში გავრცელებულია ბავშვების ავადმყოფობა. თქვენ ამ სენს „ბატონებს“ უწოდებთ. ხალხო, ჩემს მაერ მოყვანილმა ექიმმა აღმოაჩინა წითელა და მუცელა, ორივე გადამდები ავადმყოფობაა და წამლობა სჭირდება.

— არა, შვილო, ეგ როგორ იქნება! — წამოიძახა მოხუცებულმა გლახამ. აგერ ოთხმოცი წლის კაცი ვარ და ბატონებისთვის ჩვენ ექიმი არ მოგვიყვანია. მაგას ღმერთიც გვიწყენს და თვით ბატონებიც უფრო გაჯავრდებიან.

ქალებშიც გაისმა უკმაყოფილო ჩურჩული. მიტო თავჩალუნული იდგა, არ იცოდა, როგორ დაეჯერებინა ხალხი, რომ ექიმი მიეღოთ.

— მოითმინეთ, ამხანაგებო! — წამომოსთქვა ხანში შესულმა ექიმმა ქალმა, რომელსაც თეთრ თავსახვევს და მკლავს წითელი ჯვარი უმშვენებდა. — საქმე არც ისეა, როგორც თქვენა გგონიათ.

მე მოგცემთ საჭირო დარიგებას, მხოლოდ შეასრულეთ; მე ვუწამლებ და თუ თქვენი ბავშვები მოკლე ხანში არ განიკურნებიან, პასუხს ვაგებ.

ზოგიერთებმა მიიღეს ექიმი ქალის რჩევა და დაეთანხმენ, უმრავლესობა კი ყოყმანით დაიშალა.


ექიმმა ქალმა დაპყრო სოფელში დაახლოვებით ორი კვირა. ის თავგამოდებით უვლიდა ავადმყოფ ბავშვებს და მის მუშაობას დღითი-დღე უკეთესი შედეგები ეტყობოდა.

ერთ კვირა დღეს ექიმი ქალის ოთახის აივანი სავსე იყო სოფლის ქალებით, — გაეგოთ ექიმი მიდიოდა და მოსულიყვნენ, რომ უკანასკნელად კიდევ მადლობა ეთქვათ მათი შვილების გადარჩენისათვის.

— კეკე, მოდი ჩემთან, მიმართა ექიმმა ქალმა ერთს შავებში ჩაცმულ ქალს, რომლის ვაჟიშვილი ამ ექიმმა სხვებთან ერთად განკურნა.

— აი ეს შენ მოიხმარე, — და გაუწოდა მას რაღაც ნივთები. ხოლო შენს ბიჭს კი მიტო ჩამოიყვანს შემოდგომაზე ქალაქში და ჩვენ საბავშვო სახლში მოვაწყობთ. შენ კი სოფელი გაგინწევს დახმარებას, ჩვენ ამაზე უკვე მოვილაპარაკეთ.

კეკეს სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა. ახალგაზრდა კომკავშირელმა ილამ თავის ლომა კამეჩებ შებმული ურემი ექიმის სახლთან გააჩერა. ექიმი გაკვირვებული იყო მოსახლეობის ასეთი გულკეთილობით. ყველას გამოემშვიდობა და შემდეგ ბავ-



შების ჯგუფებისაკენ გასწია, რომლებსაც მიტოვებდა რაღაცას ელაპარაკებოდა.

— მშვიდობით, ბავშვებო, წარმოსთქვა მან და მიტოს მხარზე ხელი დაჰკრა. — შენც კარგად იყავ, პატარა ბეჯითო ბიჭო. იყავ მუდამ ყოჩაღი და თავგამოდებული მშრომელი ხალხისათვის. ეხლა კი მშვიდობით. და მან ხელი გაუწოდა მიტოს.

— არა, ექიმო, მე ნუ შემშვიდობებით, მე და ილამ მატარებელამდე უნდა გადავიყოფი.

— რატომ? — გაოცებით წამოიძახა ექიმმა.

— წუხელი უჯრედმა გადასწყვიტა თქვენ გასამრჯელო მოგცეთ. ამ სიტყვებით ილამ ურემზე შედგა ორი ყუთი, სხვადასხვა ხილეულობით სავსე. ექიმმა ყველას მადლობა გადაუხადა და ურმით გასწია.

— შეილო, ერთი ეს მითხარი, სადაურია ელეთისნიერი ადამიანი? — ჰკითხა მოხუცმა გლახამ მიტოს, რომელიც ის იყო წასვლას აპირებდა.

— მომისმინე, პაპა. ჩვენში დაარსებულია საზოგადოება „წითელი ჯვარი“, რომელიც ფხიზლად დგას მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე. და, აი, სწორედ ეგ ქალიც იმ საზოგადოების

წარმომადგენელია. — მართლა, ქალებო! მიუბრუნდა იქვე მდგომ ქალებს, — სამი კვირაა მე ჩემი საქმე არ დამიწყევია, რისთვისაც აქ ვარ მოსული. ვინაიდან თქვენი შვილები უკვე კარგად არიან, მინდა კოლექტივი ისევ ფეხზე დავაყენო და თქვენ თქვენს შვილებს ხელი უნდა შეუწყოთ ამ საქმის მოგვარებაში.

— კი, შეილო, კი, წამოიძახა გლახამ, თითქმის თითისოდენა ბავშვა რომ ასეთი სიკეთე გვიყავი, ამოდენა ავადმყოფი ბავშვები ფეხზე დააყენე, ეხლა რაღა გვეთქმის. ჩვენ არაფერი გვჯეროდა, ბატონებიაო და აბა წამალს ვინ მიაკარებდა!..

— მერე, პაპა, შენი შვილიშვილი ხომ კომკაეშირელია და რატომ არ აგინხნა?

— ბევრი მითხრა, შეილო, ბევრი მელაპარაკა, მაგრამ არ ვიჯერებდი, სანამ თვლით არა ვნახე.

— მაშ ეხლა ხომ ყველაფერი გჯერა პაპა?

— მჯერა, შეილო. აბა ეხლა რაღა მეთქმის!

— მაშ ასე, პაპა, შენც გაკომუნისტებულიხარ.

და ამ სიტყვებით მიტომ მოკურცხლა ურმა-საკენ, რომელიც კარგა მოშორებოდა მას.

მარო კეჩხუაშვილი

# სწავლის რაქონები

დღეს  
განთიადის ბრღედილა სახე  
არ მოსდგომია ფანჯარის მინებს,  
და სახურავზე  
ნიავის ნაცვლად  
წვიმის წვეთებმა გაისისინეს.  
პატარ-პატარა შენაკადებით  
ამოუესია უბე მდინარეს,  
უკვე სიყვითლე შემოპარვია  
ყად აყუდებულ  
მალალ ჩინარებს.  
წამოუბერავს  
მსუსხავი ქარი  
და შემხმარ ფოთლებს დაატრიალებს;  
ხან ღობის ძირას  
შემოაქუჩებს,  
ხან ისევ გაშლის,  
გაანიავებს.

სახემცინარნი,  
ჩაშავებულნი  
მოიჩქარიან,  
მოდიან მარშით,  
რომ დასვენების, ნავარდის შემდეგ  
ჩაებან ზამთრის მუშაობაში.

ტყვისა ფერი ღრუბლის ლაშქარი  
შემოსევია  
ლაფვარდ ცის სარკეს;  
მიდის ზაფხული,  
და ფრინველებიც  
მიიჩქარიან სამხრეთისაკენ.  
მიდის ზაფხული,  
და ჩვენსა სხეულს  
მზე აღარ ჰბუგავს სიმხურვალებით,  
იწყება რთველი,  
კარგ მოსავალით  
გასუყვებია გლეხებს თვალები.  
მიდის ზაფხული.  
პიონერების  
სწავლის დაწყების უამი მოვიდა,  
მინდორ-ველებზე გაფანტულები  
წამოიშალენ ბანაკობიდან.



# ი რ ი მ გ ზ ა ვ ნ ი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

— ისე ღეროშვილის კარმიდამოზე სოფლის ხალხი დილიდანვე შეკრებილიყო. ყველა ისეს უბედურებაზე ჩიოდა და ლაპარაკობდა.

— აი, დედასა, ვაჟკაცო, რა უხეიროდ ამოხდა სული! უთვისტომო, უცხო ქვეყანაში ჩაყარა თავისი ძეგლები.

— ვინ იცის, როგორ ენატრებოდა ცოლშვილის, სახლკარის ნახვა!..

— ი ოხერი ციმბირი, ნეტა, შორს არის?

— შვილო, შორს რას მიქვია, იმის იქით, თურმე, ხალხი აღარ ცხოვრობს. ყინულისა და თოვლის ქვეყანაა ციმბირი. აბა ერთი ჰკითხე კუდიანთ ბიჭს სოსეს, ისიც ხომ ციმბირში ნამყოფია... გასაოცარ ამბავს მოგიყვება. ხშირად ათასი ვერსი უნდა გაიარო, რომ აღამიანს შეხვდე, დაელაპარაკო...

— ქაა, მაშ ცოცხალი აღამიანი გაუგზავნათ იქ დასამარხავად?

— თავისუფლების მოყვარულს ასე და უფრო სასტიკადაც სჯიდა მეფის მთავრობა.

— ისე კი დაიღუპა და...

— საბრალო, სამადლოდ დამარხესო, ამბობენ.

— რაც იყო, იყო... საქმე ახლა გამხელა.

— ივანე, შენზე პატივცემული და მიღებული კაცი სოფელში არა გვყავს. ღვინო და სიმხიარულე რო იყოს, მაშინ ჩვენ, ახალგაზრდებმა, ვიცოდით, ახლა კი შენი ერთი სიტყვა ნუგეში იქნებოდა, ისეს დაობლებულ ოჯახს, მის ცოლშვილს თვალისა და სისხლის მოსწმენდდა, გულს გაუმაგრებდა.

— მართალია, მართალი... ივანემ პირველმა უნდა უთხრას პელოს და პატარა ფირანს ისეს სიკვდილი, უპატრონოდ დაღუპვა.

— კარგი, მაგრამ არ სჯობდა ლაპარაკი ქალებს დაეწყათ, თუნდ, აი, სალომეს, ან მართას ეთქვა ორიოდე სიტყვა ... შემდეგ მეც მივებმარებოდი, რაღასაც მოგახერხებდით.

— ასე მსჯელობდენ და ემზადებოდენ პელოსთან შეხვედრას სოფელ ქინძიანში მცხოვრები ქალი და კაცი, როცა მათ დაინახეს პელო, ბილიკით ხევიდან შინ მიმავალი.

ეტყობოდა, პელომ ისეს შესახებ არაფერი იცოდა. თავჩაღუნული, ფიქრებში გართული, ხანდახან კაბის კალთებს თუ გაისწორებდა, რომ ბაღში დაკრეფილი ხილი და მწვანილი არ დაფანტოდა. მძიმე და ნელი ნაბიჯით ამოსცდა ეს ბეჭობს, რომელიც აქამდე მის სახლს და კარმიდამოს ეფარებოდა. ამ ადგილას ისვენებდა ხოლმე პელო, როცა სოფლიდან მიდიოდა, ან წყლიანი კოკით ხელში მიდიოდა შინ, მაგრამ დღეს ეს უბრალო მოსვენებაც კი ვეღარ იგემა. მართო მალა ახედვა, თვის კარმიდამოზე ხალხის დახახვა იყო საკმაო, რომ პელო უზომოდ შეწუხებულიყო.

— მითხარით, რა ამბავია ჩემს თავს? — მთელი სხეულით ათრთოლებულმა პელომ ძლივს მოახერხა რამდენიმე სიტყვის ერთად გადაბმა. უნებლიედ ხელები თავსა და პირში წაიშინა. თავსახვევი მოეხსნა, ძირს დაეცა, თმა აეწეწა, ლოყებიდან სისხლი წასკდა, სახე დაემანჭა, აეცრემლა; დამვებული კაბის კალთიდან დედამიწაზე გაიფანტა ბაღში დაკრეფილი ტყემლისა და გარგარის მარცვლები, ხოლო მწვანილის ფოთლები კი ნელად მოსისინე ქარის ტალღამ ხევისკენ გააქანა. პელო სწრაფი ნაბიჯით წინ წავიდა, სადაც ხალხი ერთად შეჯგუფებულიყო.

— არ გეყურებთ, რათ სდუმხარო? საუბედუროდ ხართ შეკრებილი ჩემი სახლის წინ, თუ საბედნიეროდ? — თითქოს შეტევით და მუქარით მიმართა კვლავ პელომ ხალხს, მაგრამ პელოს ძახილზე ხმა არავის ამოუღია. ხალხი გაშეშდა, გაქვავდა, ყველა შეკრთა, ხმა ჩაუწყდა. ასე გავიდა რამდენიმე წუთი, ორივე მხარე ერთმანეთს გაკვირვებული შესტკეროდა. როგორც იყო, ბოლოს მოხუცმა სალომემ მოი-



წითელი სანიტარი პიონერები ახალგაზრდათა დღეზე.

კრიბა ძალ-ღონე, წარსდგა წინ, მაგრამ მოეხვია პელოს, გულში ჩაიკრა ის და ცრემლმორეულმა ტრილით შებღაღლა მას.

— უბედურება, შვილო, იასე აღარ გვყავს ცოცხალი...

— ვაი ჩემს მოსწრებას, ჩემს უნუგეშობას... იასე მოკვდა? ვინ სთქვა, იასე მოკვდაო... მიჩვენეთ ის კაცი, ვინც სთქვა, სად არის ამბის მომტანი!... — კიოდა და წიოდა პელო თავის უბედურებაზე, მაგრამ შვებას ვერსად პოულობდა.

— დამშვიდდი, ქალო... შენ იცი, რომ აქ უმიზეზოდ არ მოვიდოდით. ამოდენა ხნის კაცი ვარ, — დაიწყო ეხლა ივანემ, — და ვის გაუგონია ჩემგან ტყუილის თქმა. სახუმრად არ მოვსულვართ, ალბათ, გავიგეთ, ვიცით, რომ დიდი უბედურება დაგვატყდა თავს, მაგრამ ჭირს გაძლება უნდა. იასეს დაკარგვა საგრძნობი დანაკლისია. მან თავი ჩვენ სოფელს შესწირა, გლეხის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას; თავისუფლების მოპოვებისათვის გაითხარა იასემ საფლავი იქ, შორს, ციმბირის მიდამოებში, უპატროლოდ მოკვდა... მაგრამ მართო რო ვიტიროთ, რა გამოვა აქედან? შვილო პელო, ახლა სახლკარს, შენ პატარა ფირანას უნდა გაუფრთხილდე...

— სად არის ჩემი ფირანი, ის მაინც დამანახვეთ თვალით, მომიყვანეთ. გვეყურებათ, მაჩვენეთ ჩემი შვილი!...

მაგრამ ტოლ-ამხანაგებს განზრახ არ მიყავდათ ფირანი დედასთან. მამის სიკვდილი ფირანმა პელოზე აღრე გაიგო. ბევრი, ძალიან ბევრი იტირა. ცრემლმა დააოსა, ისე შეწუხდა და დასუსტდა პატარა ბიჭიკო. იასეს ამბის მთქმელნი იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ თავის სიტყვაზე და ფირანი ახლა წინააღმდეგში დაეჯერებიათ.

— გეხუმრებოდით, ფირო, აბა ერთი რას იტყვის, კიდევ უყვარს მამაო, დანაძღვედით, — არწმუნებდა ფირანს ერთი ამხანაგი, მეორე კიდევ ყასიდად იცნოდა, ელაზღანდარებოდა. ზოგი იასეს წარსულს იგონებდა, მის შესახებ თხზავდა სხვადასხვა ამბებს და ამნაიოდ მართლა დააჯერეს პატარა ფირანი, რომ მისი მამა იასე ცოცხალია და კვლავ ციმბირში ცხოვრობს.

ის იყო და ის. გადიოდენ თვეები, წლები, და იასეც ყველას ავიწყლებოდა. თვით პელოც კი ამოხვრით და გულის ამოკვნესით თუ მოიგონებდა იასეს, თორემ, როგორ გაუმხელდა და ეტყოდა ფირანს, რომ მამა მკვდარი და დაღუპული ჰყავდა. ფირანი კი ამ დროს სხვა ფიქრსა და ოცნებაში იყო. მას მამა ცოცხალი ეგულებოდა. ის ხშირად თავის გულს, თავის ფიქრს და გრძნობას ეკითხებოდა ამ ამბავს და, წარმოიდგინეთ, ყოველთვის დადებით, სასიხარულო პასუხს იღებდა: „იასე ცოცხალია და ციმბირში იმყოფებაო“. შინ იყო თუ გარეთ, ფირანი სულ მამის



ფიქრსა და გონებაში იყო. მართალია, ფირანი მაშინ სულ პატარა, რაღაც 6 წლის იქნებოდა, როცა იასე გადაასახლეს ციმბირში, მაგრამ მას ყველაფერი კარგად ახსოვს. სოფელი ქინძიანი ცხენოსანი ყაზახებით იყო გარშემორტყმული. დამსჯელ რაზმს ორ თუ სამ ალაგას საველე ზარბაზნებიც დაედგა. ზარბაზნებს პირები სოფლისკენ ჰქონდა მიმართული და სასროლად იყო გამზადებული. სოფლის გარეთ არავის უშვებდენ. ქინძიანში ყაზახთა ასეულს დილიდანვე შეეკრა გზები და სოფელში მიმავალს ჩხრეკდენ, ატუსაღებდენ, ერთი ნაწილი კი სახლებში დათარეშობდა და ვის შეურაცხყოფას აყენებდა, ძალმომრეობდა, იტაცებდა ხალხის ქონებას და სიმდიდრეს. რამდენიმე ალაგას ღვინის ქვევრები აეხადათ, მაგრა გაღვნილიყვნენ, დამთვრალიყვნენ და შემდეგ კი ქვევრის მაგიერ პურის ორმო აეხადათ და, როგორც თუ მოგტყუვდითო, გაბრაზებულებს მთელი ხორბალი ნიჩბებით და ჩანახით ქუჩაში ღორის საკმელად გადაეყარათ. ყაზახთა უფროსისათვის ვილასაც მიეტანა ამბავი, იასე ცოლშიღონდა, სახლში არისო და მის დასაქვრად აშლილიყო ამოდენა ხალხი თოფ-ზარბაზნებით. მალე სოფელმაც გაიგო, რაშიაც იყო საქმე. დიდი და პატარა იმას ცდილობდა, როგორმე უენებლად გადაერჩინათ იასე და ქინძიანიდან გაეპარებინათ.

აგერ რამდენი ხანია, რაც იასეს სახლში აღარ უცხოვრია. ის ხან სად აფარებდა თავს, ხან სად, უმეტეს შემთხვევაში კი ტყესა და მინდორში იმალებოდა. გლეხობას უყვარდა იასე და კიდევ ინახავდა მას. იასე სახალხო გმირად იყო გადაქცეული.

იმაზე ლექსები შეეთხზათ. გლეხობის თვალში ის შრომისა და პიროვნების თავისუფლების ცოცხალ მებაირახტრედ და მქადაგებლად გამხდარიყო. ცხადია, მეფის მთავრობა უყურადღებოდ ვერ დასტოვებდა იასეს და ყველა საშუალებას იხმარდა, რომ ხელში ჩაეგდო ის. ასეც მოხდა. იასე დაიჭირეს. მთელი სოფელი მოწმე იყო, როგორ ვაჟკაცურად იქცეოდა ტყვედ ჩავარდნილი იასე. იასეს დაქვრაზე ხალხი ოხრავდა და გმანავდა, ქალები სტიროდენ, მაგრამ იასეს გულს სიმხდალე და დალონება არ მიკარებია. თითქოს არაფერი მომხდარაო, იცინოდა და ოხუნჯობდა, სხვებს ამხნევებდა და ამშვიდებდა.

— იასე არ დაიღუპება, კლდესავით მაგარია. სადაც ვინდა გადაავდო, როგორი გაჭირვებაც ვინდა მიიყენო, ის ერთნაირად გამტანი და დამძლეა... — იძახდა გლეხობა სოფელ ქინძიანში, და ეს ამბავი არც პატარა ფირანს დავიწყებოდა.

— ვინ მოიგონა მამიჩემის სიკვდილი, იასე განა დასაკარგი, უბრალოდ გასაფუჭებელი ადამიანია? ფიქრობდა თავისთვის პატარა ფირანი და სულ იმის მოლოდინში იყო, როდის ნახავდა თავის საყვარელ მამას ცოცხალს და ჯანმრთელს.

მაისის მიწურული იყო, მზიანი და ნათელი დღე იდგა. ტირიფონის მინდორი ბუნებას ყვავილებით მოერთო. სხვადასხვა ბალახებით მოქარგული ველები თვალწარმტაც ფერებად დახატულიყო. ჰქროდა ნელი სიო, რომელიც კილით-კიდემდე შეგროვილ ყვავილთა სურნელებას ქვეყანას ჰვენდა, უხვად ჰფანტავდა სიცოცხლის აღმძვრელ და გამახალსებელ ძალას. ტირიფონის თვალუწვდენელ სივრცეზე ხალხი ბუზივით ირეოდა. ქალები და ბავშვები ყანას გამალებით მარგლიდენ. იქ მიწისმუშას თავზე ხელსახოცი წაეკრა, მჯჯა დაემკლავებინა და გულგაღვლილი ბალახს თიბავდა. მეორე ალაგას გლესს ურემი ძველთესლით მაგრად დაეტვირთა და უკვე შინ მიეზიდებოდა, რომ პირველი მოსავლით ცოლშიღონდა გაეხარებია. ქალებს კოკები ტორტლის წყაროში გაევისოთ და ყველა თავის სამუშაო ბინაზე მიეჩქარებოდა.

რამდენი მწყურვალი და სიცხისაგან შეწუხებული ადამიანი მოუყვანია გონს ტორტლის წყაროს! ტირიფონის მინდორზე მომუშავე გლეხობას ეს წყარო რომ არ ჰქონოდა, რა ძნელი და აუტანელი იქნებოდა მუშაობა. მას ახლაც ბლომად შემოხვევია მუშა ხალხი, გორის გზაზე მიმავალ-მომავალი, და ზოგი დაწაფებით, ზოგი კიდევ მუქით შეექცევა მინდორის გემრიელ წყალს.

იყო ერთი ჟრიაშული, სიცილ-ხარხარი, დაუსრულებელი ოხუნჯობა და სჯა-ბასი, თითქოს ერთმანეთის შესახვედრად მოსულიყვნენ აქ ნაცნობი და უცნობი ადგილებიდან.

- ბიჭო, რომელი სოფლიდან ხარ?
- რა ვიცი!.. აბა მე საიდან მეცოდინება...
- კაცო, ვისი შვილი ხარ? მამაშენს, ი ოჯახ-ქორს, სახელი არ ჰქვია, გვარი არა აქვს?
- აქვს, მა რა!
- მე რე, ვერ იტყვი, თუ აქვს?.. რაღა დღისთვის ინახავ?
- მაგრამ უცნაური ბავში თავის ვინაობას და თავის გულისწადილს არავის უმხელდა, არავის ეუბნებოდა.
- სად და ვისთან მიდიხარ?
- არ ვიცი... გზას მივდევ და საცა მიმიყვანს, მეც იქ მივალ...
- გაგონილა ამისთანა ამბავი? შე სულელო, ეს გზა გორში მიდის, შენც იქ მიდიხარ?
- არა.
- მაშ სად მიდიხარ?
- ცივ ქვეყანაში.
- ციმბირში?
- ციმბირში... — ზღაზენით და დიდი გაჭირვებით მაინც სთქვა ბავშმა თავისი მგზავრობის მიზეზი



და დანიშნულება... მის განცხადებაზე ყველა მაყურებელს უნებლიედ სიცილი აუტყდა, თუმცა სასაცილო და საოხუნჯო არაფერი იყო. პატარა მგზავრი თითქოს აღარა ხუმრობდა, მართლა მიდიოდა ცივ ქვეყანაში, ციმბირში, როცა არც გზა იცოდა და არც კვალი. ცალიერი ხელებით, დაგლეჯილი ქალამნებით და კონკებად ქცეული ჩითის ხალათის ამარა.

— ძმობილო, ეს არის საგძალი, ერთი გამხმარი პურის ნატეხი?!..

— ეეეე... შე რა გინდა...

— ხომ მოკვდი გზაში მშვიერი?

— ვინ გაგაბრიყვა, ვინ შეგაცდინა? უნდა სთქვა...

ლაპარაკში ახლა სხვებიც ჩაერივნენ. ყველა თავისით ეკითხებოდა უცნობ ბავშს, მაგრამ ამოდ, ბავში უკვე უსიტყვოდ იდგა ერთ ადგილას და პასუხს აღარავის აძლევდა.

ცნობისმოყვარეობა, სიცილი და უთავბოლო ლაყობა უცნობი ბავშვისადმი მსწრაფლ მზრუნველობის გრძნობით და გულშემატკივრობით შეიცვალა. მისმა ამბავმა ყველა დააფიქრა და დააღონა. უბედურება ის იყო, რომ ბავშს ვერავინ სცნობდა. არც ხევენამ, დარიგებამ და არც დაშინებამ არ გასჭრა.

— შენ, ეი!.. ცოდოს ნუ მაყურებინებ, სთქვი, სადაური ხარ, თორემ ხედავ ამ სახრეს... ამასთანავე ჰაერში ისეთი გამეტებით მოიქნია სახრე ხანში შესულმა მეურმემ, რო უცნობი ბავში შიშით განზე გადახტა.

ის იყო უნდა გაქცეულიყო პატარა ბიჭი, რომ მას მეორე გლეხი სწვდა ქამრის თასმაში და იგი შებოქილი ერთ ადგილას გააჩერა.

— მომეტა... რა გინდათ ჩემგან... საქმე გამოგლევიათ, რომ აღარ მეშვებით... მოთმინებიდან გამოსულმა ბავშმა საზარელი ხმით შეჰკივლა და კვლავ გაქცევა დააპირა, მაგრამ სად წაუფიქროდა ამოდენა ხალხს. მართლა შეგეცოდებოდათ გზაბნეული და უხეიროდ მოხეტიალე ბიჭიკო. ეს იყო ჩვენი პატარა ფირანი, რომელიც მამის საძებნელად დედას გამოპაროდა სახლიდან. გულში შენახული განზრახვა სისრულეში მოეყვანა მას. უკვე მეორე დღე იყო, რაც ფირანი მგზავრობდა. ღამე სოფელს აფარებდა თავს, ხოლო დღისით კი სულ გზაში იყო. მას უნდოდა ჯერ რომელიმე რკინის გზის სადგურზე მისულიყო და შემდეგ კი, სანამ ნახავდა იასეს, კითხვა-კითხვით ევლო, ეპოვნა თავის საყვარელი მამა. მაგრამ ფირანს მგზავრობის პირველ ხანშივე მეტად დიდი დაბრკოლება დახვდა წინ, მას ყველაფერი გაუგეს. მის ბავშურ გატაცებას, უთავბოლო ხეტიალს და სიარულს სულ უცხო ხალხი, მისივე თანამგზავრები,

წინააღმდეგა. გადაჭრით მოსთხოვეს მას ვინაობა და მიზანი მისი მგზავრობისა.

— სთქვი მეტი, ვისი შვილი ხარ?... არ ეშვებოდა იგივე მეურმე ფირანს. — გეფიცები ცოლშვილს, ფეხს აღარ გადაგადგმევენებ წინ, დაგაბამ ურემზე და ისე...

— გამიშვილი... რა გინდათ ჩემგან. რა დამიშავებია თქვენთვის?..

— არ შეიძლება, უნდა სთქვა...

— მე მიმიჩემის საძებნელად ვარ წამოსული...

— რა ჰქვიან მამაშენს?

— იასე.

— გვარი?

— ღეროშვილი.

— იასე?... იასე ხომ მოკვდა ციმბირში...

— ეეეე... რას ბოდავს ეს ბიჭი?

— შვილო, ქვეყანამ იცის, რომ იასე ღეროშვილია იქ, შორს, ცივ ციმბირში ჩაყარა თავისი ძვლები... აღარ არის იასე ცოცხალი.

— ის... ის შენი მამა იყო? შვილო ფირან!..

— მამა!..

თითქოს საფლავიდან ადგა, მკვდარი გაცოცხლდა იასე ღეროშვილი, მაგრამ ჩაჰკროდა გულში თავის ერთადერთ შვილს ფირანს ღ მეტი სიხარულისაგან თვალებიდან ცრემლის ნაკადული დაბალუპით ჩამოსდიოდა.

იასე მართლა ცოცხალი გადარჩენილიყო. ბევრი გატირვება, სიმშილი ღ სიტიტველე აეტანა მას და ბოლოს, როცა რევოლუციამ გაიმარჯვა, როცა დაემხო თვითმპყრობელობა და სახელმწიფო მართვა-გამგეობას სათავეში მშრომელი ხალხის ერთგული შვილნი ჩაუდგენ, იასე ტყვეობიდან სამუდამოდ განთავისუფლებულიყო. ახლა ის თავის ცოლშვილში ბრუნდებოდა.

დიდი ხნის უნახავი მამა და შვილი ტირიფონის მინდორზე შეხვდნენ ერთმანეთს.

იასე, მგზავრობით დაღალული, ის-ის იყო ტორტლის წყაროსთან აპირებდა დაჯდომას და დასვენებას, როცა ფირანის ამბავი გამომჟღავნდა და გამოაშკარავდა. იასე ბოლოს მიხვდა, რომ ლაპარაკი მის ციმბირში ყოფნას შეეხებოდა და რომ უცნობი ბავში მისი ღვიძლი შვილი იყო.

სიბერისგან წელში ორად მოხრილი, ღონემიხდილი, დაღლილ-დაძაბუნებული იასე უნებლიედ ისე გამხნვედა, გახალისდა, რომ სულ ადვილად იწყო მოძრაობა, გაქანდა ფირანისაკენ ღ მაგრად ჩაიკრა მკერდში თავისი საყვარელი შვილი.

ყველა გაცოცხლებული იყო ნახულით და გაგონილით.

გ. პარკაძე.

# პიონერები ჰაერში

მ ო თ ხ რ ო ბ ა \*)

## რატომ და როგორ უჩინავენ თვით- მზრინავეები.

როცა დელეგაცია დაბრუნდა პიონერთა კოლექტივიში, პიონერებს არ დასჭირებიათ გამოეკითხათ დელეგაციის წევრებისათვის, თუ რა ნახეს, რა გაიგეს. მიშა, გრიშა და ნინო ისე იყვნენ გატაცებული ყოველივე ნახულით, ისე იყვნენ აღფრთოვანებული „საჰაერო საქმეებით“, რომ თვითონვე ჩქარობდნენ გაეზიარებიათ შთაბეჭდილებანი. მათ გააკეთეს მოხსენება საერთო კრებაზე, ისინი ესაუბრებოდნენ ცალცალკე ამხანაგებს, მაგრამ, ვინაიდან მათ ბევრ კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ გასცეს, ამიტომ გადაწყდა მოეწვიათ მკოდნე უფროსი ამხანაგი, რომელიც დაწვრილებით განმარტავდა „საჰაერო საკითხებს“ და ყოველ მათთვის საინტერესო კითხვაზე ჯეროვან პასუხს გასცემდა.

პიონერები მოუთმენლად ელოდნენ ასეთი მოხსენების მოსმენას. განცხადება მოხსენების შესახებ მოათავსეს კედლის გაზეთის მორიგ ნომერში. ამავე ნომერში დელეგაციის წევრებმა მოათავსეს მცირე შენიშვნები ესკადრილიაში ყოფნის შესახებ. მიშამ ისარგებლა შემთხვევით და დახატა ისეთივე პლაკატი, როგორიც სადგურზე ნახა: „რა გააკეთე საჰაერო ფლოტისათვის?“. გრიშამ კი დახატა რამდენიმე თვითმფრინავი მიწაზე და ჰაერში.

დადგა მოხსენების დღეც. და როგორ გაეხარდათ ჩვენს ყმაწვილებს, როცა გაიგეს, რომ ლექციის წასაკითხავად მაკაროვი ჩამოვიდა. მის მიერ ჩამოტანილი პლაკატები მაშინვე გააკრეს კედლებზე. მაკაროვს ეცვა ტყავის ტანსაცმელი და თავზე მუზარადი ეხურა.

როცა პირველი ნაცნობობა მაკაროვსა და ყველა პიონერს შორის განმტკიცდა საერთო მუშაობით „ჯადოსნური ფანარის“ რემონტისა და დადგმისათვის, ყმაწვილები სწრაფად დასხდნენ სკამებზე და მოემზადნენ ლექციის მოსასმენად.

მხოლოდ ახლა ამოიღო მაკაროვმა ჯიბიდან პატარა ყუთი.

— ამ ყუთშია დიაბოზიტეები, — სთქვა მან. — აი, ეხლა ავიხსნით, თუ როგორ ფრინავენ თვითმფრინ-

ავები. ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ყმაწვილები სულგანაბული იხმენდნენ მის ლაპარაკს.

— მიშა! — მიმართა მაკაროვმა თავის თანამემწეს, — აჩვენე აი ეს დიაბოზიტევი! აი, ყმაწვილებო: თქვენ აქ ხედავთ ორ ძრავს, — მიუთითა დიაბოზიტეზე. ერთი ძრავი ჰგავს ცხრაბოლოიან ვარსკვლავს, ხოლო მეორე — ავტომობილის ძრავს, რომელიც ბევრ თქვენგანს, ალბათ, ნახული აქვს. ერთიც და მეორეც თვითმფრინავზეა მოწყობილი. ასეთ ძრავებს „შინაგანნი წვის მამოძრავებელი“ ეწოდება და, აი, რატომ: დააკვირდით ამ ვარსკვლავის მსგავს ძრავს. მას აქვს ცხრა ერთნაირი ნაწილი. ამ ნაწილებს ეწოდება „ძრავის ცილინდრები“. ეს ცილინდრები შიგნით ცარიელია და მათში, როგორც ტუმბოში, ზევით და ძირს მოძრაობს დღუში. ამ დღუშებს მოძრაობაში მოჰყავს ძრავის ცენტრში მოთავსებული ღერძი, რომელიც ყოველთვის ერთი მხარისაკენ არის მიმართული. მაგრამ საკითხია: როგორ და რატომ მოძრაობენ თვით დღუშები? აი, სწორედ აქ იჩენს თავს შინაგანი წვის ძალა, რის შესახებაც მე გეუბნებოდით. თქვენ, ყმაწვილებო, ალბათ, იცით, რომ წვის დროს წარმოიშობა გაზები, და რომ გაზები ცდილობენ დაიჭირონ რაც შეიძლება მეტი სივრცე, ე. ი. ფართოვდებიან. ასე, მაგალითად, ჩვენ რომ ღუმელში დაწვავთ ნახშირი ისე, რომ არ გავალდოთ მილები, მაშინვე ვიგრძნობთ, რომ წარმოიშვა რაღაც ახალი გაზი. ეს უხილავი გაზი გავსებს მთელ ოთახს, გაფართოვდება და, თუ მეორე ოთახის კარებს გვადებთ, იქაც შეიჭრება. აი, სწორედ მაგარ სხეულთა და სითხეთა იმ თვისებაზე, რომ წვის დროს წარმოიშობა გაზები, და გაზების გაფართოების თვისებაზე არის დამყარებული შინაგანი წვის მამოძრავებლის მოქმედება, და იმ ძრავის მოქმედებაც, რომელიც მოწყობილია თვითმფრინავზე. ძრავის ერთ-ერთ ნაწილში, რომელსაც „კარბიურატორი“ ეწოდება, ხდება ბენზინის შერევა ჰაერთან. ამისათვის ბენზინი ძლიერი ჰაერის ჭავლით (როგორც პულვერიზატორში) გადაიქცევა ბენზინის „მტვრად“, ე. ი. უმცირეს წვეთებად, ან გახურების გამო გადაიქცევა ბენზინის ორთქლად. ამ ცხელი, გახურებული ორთქლის ნივთიერებას შეუშვებენ ცი-

\*) დასაწყისი იხ. № 16.



ლინდრში. ამავე დროს ცილინდრის ზემო ნაწილში ელექტრონის დენით (ამ ელექტრონის დენს იღებენ მეორე მანქანიდან, რომელსაც უწოდებენ „მაგნეტოს“) მიიღებენ ნაპერწკლებს. გახურებული ორთქლის ნივთიერება ნაპერწკლებისაგან სწრაფად ინთება და იწვის. წვის შემდეგ წარმოშობილი გაზები ძლიერი ძალით აწვებიან დგუშს. დგუში თავისი მოძრაობის დროს აწვება ბერკეტს, რომელიც ატრიალებს ღერძს. და ვინაიდან ცილინდრი ძრავში რამდენიმე და ორთქლის ნივთიერების ანთება რამდენიმეჯერ ხდება წამში, დგუშები უდიდესი სისწრაფით და სიხშირით მოძრაობენ, და ღერძი ერთ წუთში ტრიალებს 1500—2500-ჯერ.

— იმიტომაც არის, — დარღვია ვილაცამ საერთო სიჩუმე, — ძრავი ისე გრიალებს, რომ ერთ ვერსზე ისმის მისი ხმა.

— მართალია, ძრავი ძალიან გრიალებს, — დაეთანხმა მაკაროვი, — მაგრამ იცით თუ არა, რა ძალას აწვითარებს იგი? თვითმფრინავებზე უმეტეს შემთხვევაში დადგმულია ისეთი ძრავები, რომელთა ძალა 160 — 600 ცხენის ძალას უდრის.

— ეს იმას ნიშნავს, — კიდევ გაისმა ვილაცის ხმა, — რომ თვითმფრინავში 600 ცხენი შეაბა!

— ნიშნავს და კიდევ არ ნიშნავს, — ლიმილით უპასუხა მაკაროვმა. — 500—600 ცხენი მოგვეცემს იმავე წვეის ძალას, რომელსაც იძლევა ძრავი, მაგრამ იმ სისწრაფეს, რომელსაც იძლევა ძრავი და რომელიც ესაჭიროება თვითმფრინავს, ეს ცხენები ვერ მოგვეცემენ, ვინაიდან 600 ცხენი ისევე სწრაფად გარბის, როგორც ერთი ცხენი ცალკე და, როგორც თქვენ უკვე იცით, ასეთი სისწრაფე თვითმფრინავისათვის სრულიად გამოუსადეგარია.

— ახლა კი, — მიუბრუნდა მაკაროვი მიშას, — აჩვენე შემდეგი დიაბოლიტივი. აი, აქ თქვენ ხედავთ, რომ ისეთივე ძრავებია, როგორც პირველზე, მაგრამ ამ ძრავებზე მიმაგრებულია, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ძრავების ღერძზე დაკრულია რალაც საგნები. ვინ იცის, რა არის ეს?

— ეს პროპელერია! — სწრაფად უპასუხა გრიშამ და სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა, რომ ასეთი ცოდნა გამოიჩინა ასეთ საინტერესო და ახალ საქმეში.

— ღიახ, პროპელერია. ვის შეუძლია სთქვას, რისთვის არის საჭირო? — არავის, — მცირე ხნის დუმილის შემდეგ სთქვა მაკაროვმა, — მაშ არავის! ჩვენ ახლავე გავიგებთ, რაშია საქმე. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ვვაქვს თვითმფრინავი, მაგრამ იგი არ ფრინავს. მოვაწყეთ თვითმფრინავზე ძრავი, ძრავში დგუშები მოძრაობენ, ღერძი ტრიალებს, ძრავში გრიალებს 500 ცხენის ძალა, მაგრამ ვაფრინდება თუ არა ასე-

თი ჰაერობლანი? არა, ის ერთ ადგილას იდგომება და ძრავი ტყუილად დახარჯავს თავის ძალას. ჩვენ ხომ ვიცით, რომ თვითმფრინავს ესაჭიროება გამწვევი ძალა, რომელმაც უნდა გააქნოს იგი მიწაზე, მოსწყვიტოს მიწიდან და შემდეგ ააგდოს ჰაერში გასაფრენად. აი, სწორედ ამ გამწვევ, გამქანებელ ძალას იძლევა პროპელერი. რა მდგომარეობაშია პროპელერის ღერძი ძრავის მუშაობის დროს? ვის შეუძლია სთქვას? — შეეკითხა ყმაწვილებს მაკაროვი. — მე ვიტყვი, — წამოიძახა ერთმა პიონერმა, რომელიც კუთხეში იჯდა და ყურადღებით ისმენდა მაკაროვის ლაპარაკს, — მე ვიტყვი: როცა ძრავი მუშაობს, მაშინ მოძრაობს ღერძი და მასთან ერთად იმავე ძალით მოძრაობს პროპელერიც.



პამირის პიონერები.

— მართალია, — შენიშნა მაკაროვმა, — მაგრამ როგორ მუშაობას ასრულებს პროპელერი, როცა იგი მოძრაობს ასეთი სისწრაფით? — ეს ჩანს, — უპასუხა იმავე პიონერმა, — თვით მისი სახელწოდებიდან: პროპელერი ხომ ნიშნავს საპირო ხრახნს. პროპელერი, როგორც ხრახნი, ან ბურღი ტრიალის დროს იწვეს მაღლა და ამგვარად თან მიაქვს თვითმფრინავი.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — შეაქო მაკაროვმა პიონერი, — სწორედ ეგრეა! ახლა ჩვენ ყველაფერი ვიცით. თვითმფრინავი ფრთებით თითქოს ეყრდნობა ჰაერს, კუდი აძლევს თვითმფრინავს წონასწორობას, ძრავი იძლევა საჭირო ძალას, ხოლო ხრახნი წინ სწევს თვითმფრინავს, ჯერ მიწაზე, და როცა იგი მოიკრებს საკმაო სისწრაფეს, თვითმფრინავი მოსწყდება მიწას და გაქანდება მაღლა ჰაერში. ახლა ვასაგებია თუ არა,

ყმაწვილებო, როგორ და რატომ ფრინავს თვითმფრინავი?

— გასაგებია, გასაგებია!—გაისმა ხმები და როგორც კი ჩამოვარდა სიჩუმე, წამოდგა ერთი პიონერი და მორცხვად განაცხადა:

— მე მაინტერესებს და ვფიქრობ, რომ სხვებისათვისაც იქნება საინტერესო გავიგოთ კიდევ ერთი რამ: როგორ მართავენ თვითმფრინავს? თვითმფრინავს ხომ შეუძლია ფრენა მარცხნივაც და მარჯვნივაც, ზევითაც და ქვევითაც, როგორ ხდება მისი მართვა?

— მართალია, — წამოიძახა რამდენიმე პიონერმა. — მართალია, — სთქვა მაკაროვმაც, — უნდა ვიცოდეთ, როგორ მართავენ თვითმფრინავს და მაშინ ყველაფერი ცხადი იქნება.

— ამაში ჩვენ დაგვეხმარება მიშა, — გაიღიმა ლაპარაკისაგან ცოტა დაღლილმა მაკაროვმა.



პიონერები სწავლობენ სროლას.

მიშამ მოაწყო „ჯალოსნური ფანარი“ და რამდენიმე წუთის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდა სურათი: თვითმფრინავის შიგნითა ნაწილები, რომლებიც ნათლად ჩანდა, ხოლო თვითმფრინავში ორი კაცი იჯდა.

— როგორც ხედავთ, — სთქვა მაკაროვმა, — აქ თვითმფრინავი ნაჩვენებია განკვეთით, ე. ი. ჩანს მისი შინაგანი ნაწილები. აი, შეხედეთ: თვითმფრინავში ზის მფრინავი, მის წინ იმყოფება სხვადასხვა ხელსაწყოები. მას ხელი მოკიდებული აქვს ტარზე, ხოლო ფეხები დაწყობილი აქვს კაბონზე, ძელზე, რომელსაც ორი სატერფი აქვს ფეხებისათვის. ხელსაწყოების საშუალებით მფრინავი ხედავს ფრენის სიმაღლეს და სისწრაფეს, ბენზინის რამდენი მარაგი აქვს, ღერძის რამდენ ბრუნვას იძლევა ძრავი წუთში და სხვა ცნობებს, რომლებიც საჭიროა სწორი ფრენისათვის. იქვე არის ხელსაწყოები ძრავის მოსაშვებად და მისი სვლის მოსაწყობებლად. მაგრამ, როგორც სისწორით შენიშნა ერთ-ერთმა თქვენგანმა, მფრინავს შეუძლია თვითმფრინავის შებრუნება მარ-

ჯვნივ და მარცხნივ, ზევით და ქვევით. როგორ ალწვეს იგი ამას? ამისათვის თვითმფრინავზე, ისე, როგორც ნავზე, არის საჭეები. მაგრამ ნავის მობრუნება შეიძლება მხოლოდ მარჯვნივ და მარცხნივ, ხოლო თვითმფრინავისათვის საჭიროა ტრიალი, „შებრუნება“, კიდევ ზევით და ქვევით ასვლა-ჩამოსვლა. ამიტომ მას, მიმართულების (ან შებრუნების) საჭეებს ვარდა, აქვს აგრეთვე სიმაღლის (ანუ სიღრმის) საჭეები.

ეს სიმაღლე-სიღრმის საჭე ჩამოკიდებულია არა ვერტიკალურად, არამედ ჰორიზონტალურად და მოძრაობს არა მარჯვნივ და მარცხნივ, არამედ ზევით და ქვევით. ორივე საჭე მოთავსებულია თვითმფრინავის კუდის ბოლოში და ფოლადის დაწნული ხვეულით არის მიმაგრებული სახელურზე, რომელიც ხელში უჭირავს მფრინავს, და კაბონზე (ძელზე), რომელზედაც მფრინავს ძრავს, — ის დაწყობილი. ახლა, როცა ეს ვიცი, აქვს. ერთი კლება მივხვდეთ, თუ როგორ ამოძრავებს ბილი. ასეთ კლებს და ფეხებს და როგორ მართავს თვითმფრინავს. ვის შეუძლია სთქვას რომელი მხეები აქ უნდა შეაბრუნოს მენავემ საჭე, რომ ნავი ლად შეი შებრუნდეს?

— მფრინავი ხეობისაკენ! — წამოიძახა ვილაკამ. — თუ საჭიროა ნავის შებრუნება მარჯვნივ, მაშინ საჭე უნდა შებრუნდეს მარცხნივ.

— მართალია, — სთქვა მაკაროვმა, — იგივეა საჭირო თვითმფრინავისათვისაც. როცა მფრინავი დააწვება და წინ წასწევს მარჯვენა სატერფს, საჭე კუდზე მობრუნდება მარჯვნივ და იმავე მხარისაკენ შებრუნდება თვითმფრინავი. ამგვარად, როცა მფრინავი მოქმედობს ფეხებით, თვითმფრინავს ატრიალებს მარჯვნივ და მარცხნივ. ხოლო თვითმფრინავის შებრუნებისათვის მალა და დაბლა, მფრინავი მოქმედობს მმართვის ტარით. როცა მფრინავი ტარს მოსწევს თავისკენ, თვითმფრინავი მიდის მალა, ვინაიდან ქარი აწეულ საჭეს აწვება ქვემოდან ზევით და თვითმფრინავის კუდს სწევს დაბლა და წინა ნაწილს სწევს მაღლა...

— როცა საჭიროა თვითმფრინავის ძირს დაშვება, მფრინავი მმართვის ტარს მიაწვება, გასწევს იქით. ხომ ასეა? — შეეკითხა მიშა, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა ეკრანზე გამოსახულ სურათს.

— მართალია, — უბასუხა მაკაროვმა, — როცა მფრინავი ტარს გასწევს იქით, ქარი საჭეს აწვება ზევიდან ქვევით, თვითმფრინავის კუდს სწევს მაღლა და წინა ნაწილს დაბლა, რის გამოც თვითმფრინავი ეშვება ძირს...

— თქვენ უნდა იცოდეთ აგრეთვე, თუ როგორი შეიძლება იყოს ჰაერობლანები.

არის ისეთი ჰაერობლანები, რომლებსაც ორივე მხარეზე აქვს თითო ფრთა. ასეთ ჰაერობლანს ეწოდება მონობლანი. თუ ჰაერობლანს აქვს ოთხი ფრთა, ორ-ორი ფრთა თითო მხარეზე,—მას ეწოდება ბიბლანი; თუ ჰაერობლანს აქვს სამ-სამი ფრთა თითო მხარეზე, მას ეწოდება ტრიობლანი.

მაგრამ თვითმფრინავები განირჩევიან არა მარტო ფრთების რიცხვის მიხედვით, არამედ ძრავების რაოდენობის მიხედვითაც. არის ერთძრავიანი, ორძრავიანი, სამძრავიანი და მრავალძრავიანი თვითმფრინავი. გარდა ამისა, არის ისეთი თვითმფრინავებიც (თუმცა იშვიათად), რომლის პროპელერი იმყოფება არა ძრავის წინ, არამედ მის უკან. ასეთ შემთხვევაში პროპელერი თვითმფრინავს კი არ სწევს, არამედ, პირიქით, უკანიდან აწევს, მაგრამ ამით მდგომარეობა არ იცვლება. მაგალითად, ხანდახან ორტკლმავალიც ხომ უკანიდან აწევს ვილიას და მატარებელი წინ მიდის...

— მართალია, მართალია, ვეზისმა ხმები.

მაკაროვმა საათს დახედა,—ახლა კი დროა შევწყვიტოთ ჩვენი საუბარი,—მიმართა მან ყმაწვილებს,—

მე ვფიქრობ, ყმაწვილებო, რომ ჯერჯერობით ეს კმარა. ჩვენ კიდევ გავმართავთ ლექციებს, მანამ კი წაიკითხეთ წიგნაკები ამ თემაზე.

მაკაროვი გამოემშვიდობა ყმაწვილებს და გაეშურა სადგურისაკენ, სადაც ძლივს მიუსწრო უკან ნასკნელ მატარებელს. ყმაწვილები კი ისევ დარჩენილი და დიდხანს დაობდნენ მოსმენილი ლექციის შესახებ. ზოგმა მათგანმა ყველაფერი ვერ გაიგო და ვერ დაინახსოვრა. ამიტომ მიშა, გრიშა და ნინო, როგორც საპაერო საქმის „სპეციალისტები“ და კიდევ რამდენიმე პიონერი, რომელთაც კარგად გაიგეს ყველაფერი, უხსნიდნენ დანარჩენებს მათთვის გაუგებარ საკითხებს.

იმ ღამეს, როცა ყმაწვილები დასაძინებლად ემზადებოდნენ, სულ თვითმფრინავებზე ლაპარაკობდნენ. სკოლაში დაფაზე დახატული იყო რამდენიმე თვითმფრინავი, და როცა ერთი პიონერი ავიდა კარადის თავზე რალაც ნივთის მოსაძებნად, ყმაწვილებმა მიადახეს:—მიხა! როცა დაეცემი, არ დაგავიწყდეს საჭის შებრუნება.

3. 7.



# პ ი ო ნ ე რ ი ბ ო!

არ დაგავიწყდეთ, რომ 15 ოქტომბერს სრულდება ჩვენი უურნალის არსებობის ორი წელი. მოგვწერათ თქვენი უახელო ულუბანი უურნალის უსასებ.

## სალამი სკოლას!

ზაფხული გათავდა. იწყება შემოდგომის ნისლიანი დღეები. დასრულდა პიონერული ბანაკობა, მოწაფე ბავშვები უკვე დაბრუნდნენ აგარაკებიდან, სოფლებიდან და სხვ.

მთელი ზაფხულის განააგებობაში ისინი მხიარულებაში და ხალისში ატარებდნენ დროს, ახლა კი ისევ დაუბრუნდნენ სკოლას, დასვენებულნი და მზით დაშავებულნი.

სკოლაშიც უკვე დაიწყო სწავლა. ბავშვებიც მიისწრაფიან იქითკენ. სიცილ-ჟრიაშული ავსებს სკოლის ოთახებს და ეზოს. აქ არიან პიონერებიც, მთელი ზაფხულის განმავლობაში სუფთა ჰაერზე და მზეზე რომ ატარებდნენ დროს. მათ იციან, რომ სწავლა საჭიროა, რომ ჩვენს სახელმწიფოს ესაჭიროება ახალი მომზადებული ძალები, რომ საყვარელ ილიჩის ანდერძია „სწავლა, სწავლა და სწავლა“. ისინი ამ ანდერძს სხვა ბავშვებსაც აგონებენ.

სკოლის პიონერ-კოლექტივში გაცხარებული მუშაობაა, მზადდება პლაკატები სხვადასხვა სასკოლო კომიტეტების გადარჩევის გამო.

ყველაფერი ეს არაა უბრალო ამოცანები, მაგრამ პიონერები შესძლებენ მის დაძლევას; ზოგი პლაკატი უკვე მზადაა და ზედ შემდეგი წარწერებია: „მოწაფეთა შემადგენლობაზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი ნაყოფიერი მუშაობა“.

ეს ლოზუნგი მართლაც არაა შემცდარი, ყოველ კომიტეტში შერჩეულ და შეყვანილ უნდა იქნას რაც შეიძლება უფრო უნარიანი და შრომისმოყვარე ბავშვები, რომ მათ ნამდვილად შესძლონ სკოლის საქმეების ხელმძღვანელობა.

გადარჩევებთან დაკავშირებით მოწაფეობამ უნდა შესძლოს სკოლის საზოგადოებრივ მუშაობაში თავისი მასწავლებლების ჩაბმაც.

სასწავლო წლის დასაწყისი საჭიროა აღინიშნოს რომელიმე საზეიმო საღამოთი, რაშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ახლადშემოსულმა მოწაფეებმაც.

ამისთვის კი საჭიროა სასწრაფოდ განახლდეს მუშაობა ყველა წრეში, რომელიც კი არსებობს სკოლაში, განახლდეს კედლის გაზეთის გამოცემა და სხვა.

სალამო უნდა ატარებდეს ისეთ ხასიათს, რომ გამოხატავდეს სკოლის მთელ შემოქმედებით შესაძლებლობას.

სალამოზე შეიძლება მოწვეულ იქნეს საშეფო სოფლის სკოლის მოწაფეობა.

მეტად დიდი ამოცანები სდგას წელს მოწაფეობის წინაშე, რომელიც პირველ ყოვლისა პიონერებმა უნდა გადაჭრან, როგორც სკოლის საზოგადოებრივ მუშაობაში მთავარმა მოქმედმა ძალამ.

ეს ამოცანებია:

შემოღებულ იქნეს სკოლაში საკლუბო დღეები ან საათები.

მოწესრიგდეს საუზმის გაცემის საკითხი, რაზედაც ნაწილობრივ დამოკიდებულია ნაყოფიერი სწავლა.

სკოლამ გააბას კავშირი რომელიმე წარმოებასთან.

გასწიოს აგიტაცია ინდუსტრიალიზაციის სესხის სასარგებლოდ, გააფართოვოს პიონერულ გამოცემათა გავრცელება, განსაკუთრებით ჟურნალ „პიონერის“.

ასეთი ამოცანები უნდა განახორციელონ წელს მოსწავლეებმა სკოლებში, სადაც წამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი ლოზუნგები: „ყველა მოსწავლე — ახალი ძალით მუშაობისა და სწავლისაკენ“, „პიონერო, გასწიე კულტურული ხელმძღვანელობა სკოლაში“ და სხვა.

ასეთია ჩვენი ამოცანები და რაც შეიძლება ბეჯითად უნდა მოვეკიდოთ მათ, — ამას გვაგალებს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სინამდვილე და მისი მომავალი. მაშ სალამი სკოლას და ისევ სწავლა, სწავლა და მუშაობა!..

ა ასტაშევა

# ჩვენ ისევ დავბრუნდებით შინ.

ორი-სამი თვის წინათ საბჭოთა რუსეთის დედა-ქალაქმა შეიკედლა ორი პატარა ბავში.

ესენი არიან მარკ ფრიდმანის შვილები, რომელთა მამა ჯერ კიდევ 1925 წელს ჩამოახრჩო ქ. სოფიაში ცანკოვის მთავრობამ.

მამის მოგონებაზე პატარა კარლოს შავი თვალები ცეცხლივით ენთება; მაშინ მხოლოდ სამი თუ ოთხი წლის იყო იგი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძლიერ კარგად ახსოვს მამა.

ძნელია ამ ბავშვებთან მათი მამის შესახებ ლაპარაკი, საჭიროა მეტი სიფრთხილე. თუმცა ბავშვები თვითონ დიდი ინტერესით იწყებენ საუბარს, როცა სიტყვა მათი მამის შესახებ ჩამოვარდება, ამასთანავე ერთად ისინი მწუხარებით იგონებენ თავის სამშობლო ბულგარეთს.—როცა მამას სჯიდენ, —ამბობს პატარა 9 წლის რენე,—ჩვენ მოედანზე არ გავვიშვეს, არც ერთი წვერი ჩვენი ოჯახისა ახლოს არ გავაკარეს!

— ბურჟუაზიას რატომღაც არ უყვარს ჩვენი ოჯახი. დედაც ხომ კარგახანს იყო დაპატიმრებული, ესლა კი იგი სოფიაში ცხოვრობს, სადაც მუშაობს ერთ-ერთ ქარხანაში მუშად.

დედის ხსენებაზე და მის მოგონებაზე პატარა კარლო ბრაზიანდება, აქნევს ხელებს ჰაერში და მტკიცედ აცხადებს:

— მე კომუნისტი გავხდები... პირდაპირ პიონერობის შემდეგ და ისე დავბრუნდები შინ.

სამშობლოში კომუნისტად დაბრუნებაზე საერთოდ ბევრს ლაპარაკობს კარლო, მასთან ერთად რენეც, მაგრამ განსაკუთრებულად რევოლუციონურად განწყობილია კარლო.

ძველი გამოცდილი მასწავლებელი, საბავშვო სახლის გამგე, სადაც კარლო და რენე ცხოვრობენ, აი რას ამბობს კარლოს შესახებ:

— ეს ბავში ძალიან ნიჭიერია, არაჩვეულებრივი გატაცებით უყვარს დემონსტრაციების ყურება, ზებირად იცის უკვე კომკავშირელების მთელი რიგი სიმღერები, შესანიშნავად თამაშობს ჭადრაკს, ხშირად აძლევს შამათს, მაგრამ მაინც იშვიათად აგებს.

— თუ ჭადრაკის თამაშიც არ იცი, მაშინ, აბა, ოა უნდა იცოდეს კაცმა? —ამაყად აცხადებს კარლო.

კარლოს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ტრამვაისადმი სიყვარულს უჭირავს. ეს შეიძლება იმიტაც აიხსნებოდეს, რომ ტრამვაისთან დაკავშირებულია ერთი შესანიშნავი შემთხვევა მისი მამის რევოლუციონური მოქმედებთან.

ეს შემთხვევა 1925 წელს ეკუთვნის; ოცა სოფიაში აღმოჩენილ იქნა „კომუნისტების სამხედრო ცენტრი“, პოლიციამ კარგად დაიხსომა ფრიდმანი, ერთ მოხერხებულ დროს თავს დაესხა მას და სროლა აუტეხა.

პარაბელიუმს ისოლდა და იგერიებდა მტერს ფრიდმანი, რომელიც მტერს უკვე ფეხში დაეჭრა. გამარჯვება პოლიციის მხარეზე დარჩებოდა, რომ ამ დროს ხელი არ შეეშალა ერთ შემთხვევას. ფრიდმანი ხალხით სავსე ქუჩაში მიმავალ ტრამვაის შეუხტა და გაჰყვა. პოლიციას კვალი დაეკარგა.



რენე და კარლო.

აი სწორედ ეს შემთხვევა ახსოვს კარლოს. იგი მაშინ ოთხი თუ ხუთი წლის იყო; მას კარგად ახსოვს მამის ეს თავგადასავალი და ამიტომ უყვარს კიდევ ტრამვაი. საერთოდ, კარლო და რენე ცხოვრების ასეთ პირობებში არიან აღზრდილნი და ამით აიხსნება ისიც, რომ მათ ასე ძლიერ სურთ კომუნისტობა, ისიც „პირდაპირ პიონერობიდან“ და ამრიგად დაბრუნება სამშობლოში. ტყვილად არ ამბობს კარლო:—„ჩვენ ისევ დავბრუნდებით შინ!“ როცა იქნება, ისინი მართლა დაბრუნდებიან ბულგარეთში, მაგრამ არა ტყვილად, არამედ იმისათვის, ომ ნამდვილად განაგრძონ თავისი მამის რევოლუციონური საქმე.

# 26 კომუნარის ხსოვნას.


ა/წ. 20 სექტემბერს ათი წელი შესრულდა, რაც ინგლისის იმპერიალიზმის აგენტებმა—კაპიტან ტიგ-ჯონსმა, კასპიის ჯალათმა დრუჟკინმა და სოციალ-გამცემლებმა—გახურებულ სილით მოფენილ უდაბნოში, რუხ ბორცვებით მოპნტილ მიდამოებში, ნისლიან დილას ჯგუფ-ჯგუფად დახვრიტეს ბაქოს პროლეტარიატის ხელმძღვანელები, ბაქოს 26 კომისარი. ყოველ ჩვენგანს მოაგონდება უსათუოდ დიდი სახელები: **სტ. შაუმიანი, ალიოშა ჯაფარიძე, ფიალეტოვი ვანია.**

ვინ იყვნენ ისინი, რომ ასე მხეცურად ეკვეთა მათ საერთაშორისო პროლეტარიატის კლასიური მტერი—ბურჟუაზია და სოციალ-გამცემლები?

**ს. შაუმიანი**—რ. კ. პ. (ბ) ცეკას წევრი, კავკასიის საგანგებო კომისარი, ბაქოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა კომისარი, ამიერკავკასიის პროლეტარიატის საყვარელი ბელადი, რომლის „ძალას“ მისი პოლიტიკური მტრებიც არ მალავდენ. ამხ. შაუმიანის გავლენა ბაქოს პროლეტარიატზე დიდი იყო, რასაც მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ შაუმიანი თებერვლის რევოლუციის დაწყებისთანავე ერთხმად იქნა არჩეული ბაქოს

**არსენ ამირიან**—პუბლიცისტი, „ბაქოს მუშას“ რედაქტორი, და დანარჩენი პარტიული და საბჭოთა მსხვილი მუშაკები.

ტრალიკულად დაცემული „26“ ყველა ბოლშევიკები იყვნენ, 26 კომუნარში ორი მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერი ერია, რომელთაც გმირულად დასდეს თავი მშრომელი მასების საკეთილდღეოდ. ესენი იყვნენ: **პეტროვი**—ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი პროლეტარულ ბაქოში, მოსკოვის რაზმის კომანდირი და **ვეზიროვი**—მიწათმოქმედების სახალხო კომისარი. 1918 წლის სექტემბერში დიდი ბრიტანეთის მისიის წარმომადგენელმა ასხაბადში ტიგ-ჯონსმა მიმართა ამიერ-კავკასიის მაძებარ ბიუროს უფროსს სიმონ დრუჟკინს და საოლქო აღმასკომის ზოგიერთ წევრებს დატყვევებულ კომისრების ინდოეთში გადაგზავნის წინადადებით, ხოლო შემდეგ უფრო „პრაქტიკულად“ სცნეს კომისრების დახვრეტა. წითელი საშიშროების მოციქულების დახვრეტის აუცილებლობა პატარა თვალთმაქცობის შემდეგ სოციალ-მოღალატეებმაც აღიარეს.



ბაქოს კომუნარების დახვრეტა.

საბჭოს თავმჯდომარედ... ეს იმ დროს, როდესაც ამიერ-კავკასია სოციალ-რენეგატების ბუდეს წარმომადგენდა და **საბჭოში 150 დელეგატზე მხოლოდ 14 ბოლშევიკი მოდიოდა.**

**ალიოშა ჯაფარიძე**—ბაქოს შინაგან საქმეთა კომისარი, ბოლშევიკების კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი. ამხ. ჯაფარიძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ბაქოში, ამიერკავკასიაში და დიდ რუსეთში. 1904 წლიდან ბაქო რევოლუციონური პროლეტარიატის საყვარელი ბელადი და ორგანიზატორი იყო.

**ვანია ფიალეტოვი**—ძველი პროფმუშაკი, ბაქოს სახ. მეურნეობას საბჭოს თავმჯდომარე, ჩვენი მშობლიური პარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი.

19 სექტემბერს ლამით 26 კომისრით დაიდრა ჩქარი მატარებელი ასხაბადისაკენ. დილის 6 საათზე მატარებელი გაჩერდა სადგურ უღელტეხილსა და ახჩა-კუიმს შუა, 207 ვერსზე.

დახვრეტის ორგანიზატორებმა გამოუცხადეს კომისრებს მათი „ხვედრი“.. ცნობამ კომისრები ააღელვა, მაგრამ ბოლშევიკური სიმტკიცით შეხედდენ „განაჩენს“. ხმას არავინ იღებდა, გარდა ერთი მატროსისა, რომელმაც ხმა-მალლა შესძახა ჯალათებს: „მე დამშვიდებული ვარ, ვიცი, რომ ვკვდები თავისუფლებისთვის“...

სუსხიან დილას ჯგუფ-ჯგუფად დაცხრილულ იქნენ ბაქოს კომუნარები... გმირულად გამოესალმენ სიცოცხლეს

მუშათა კლასს, საყვარელ ბაქოს, დიდ ლენინს და კრემლს კასპიის მიყრუებულ მიდამოებში.

კლასიური შურისძიების ეს კონკრეტული მაგალითითი კარგად ახსოვს საბჭოთა კავშირის პიონერებს... კლასიური ბრძოლის მდიდარი ისტორიის ეს ტრადიკული ფურცელი მშობლიურია საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ მასებისათვის და დადგება დრო, როდესაც მსოფლიო

პროლეტარიატი გაანადგურებს მსოფლიო ბურჟუაზიას და დააარსებს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მსოფლიო კავშირს.

ეს იქნება უდიდესი ძეგლი ბაქოს 26 კომისრისათვის.

ვ. ლუარსაბიძე.

## ციკლონები და ტიფონი.

დედამიწის ატმოსფეროში, ჰაერის იმ უსახლვრო ოკეანეში, რომლის ძირში, 100 კილომეტრის სიღრმეზე, მრავალმილიონიანი კაცობრიობა ცხოვრობს, სიმშვიდე და სიწყნარე უფრო იშვიათია, ვიდრე წყლის ზღვებსა და ოკეანებში.

წყლის მოძრაობა არაფერი არ არის ჰაერის მოძრაობის სისწრაფესთან შედარებით. თუ ხანდახან ზღვა გადაირევა და უზარმაზარი, რამდენიმესართულიანი სახლის ოდენა ტალღები თავზარდამცემად მოგორავს, რომ მოსპოს და გაანადგუროს ყოველივე, რაც გზაზე დახვდება, — ესეც ხომ იმავე ჰაერის მოძრაობით არის გამოწვეული.

თუ დედამიწის სხვადასხვა ადგილას ჰაერის წნევა თანაბარი არ არის, დიდწნევიანი ადგილიდან ჰაერი ვაემართება მცირეწნევიანი ადგილისკენ და სწორედ ეს არის ქარი.

რა იწვევს ჰაერის წნევის სხვადასხვა სიმძლავრეს?

ის, რომ დედამიწის ყველა ადგილას მიწა ერთნაირად როდი თბება.

სწორედ ამიტომ ციკლონები, დაკავშირებული ჰაერის მეტისმეტად დიდი მასების საშინელი სისწრაფით ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადანაცვლებასთან, მეტად ხშირი მოვლენაა ცხელ სარტყელში, სადაც დღის განმავლობაში მიწის ტემპერატურა მეტად დიდ რყევას განიცდის. ასეთი ადგილებია, მაგალითად, ჩრდილო ამერიკის ზოგიერთ კუთხეში და ავსტრალიაში.

ჰაერის ქარიშხალს, ანუ ციკლონს, საერთოდ, მეტად დიდი დიამეტრი აქვს, მაგრამ ტროპიკებთან კი სულ სხვაა — იქ მისი დიამეტრი სულ რამდენიმე ასი მეტრია, ან რამდენიმე ფუტიც კი. ასეთია ტაიფუნი<sup>1)</sup> და ტორანდოსი<sup>2)</sup>, რომლებსაც საშინელი ძალა აქვს და ყველაფერს სპობენ, რაც გზაზე შეხვდებათ.

ტორანდოსი ჰქრის საათში 100—120 კილომეტრის სიჩქარით, ხან უფრო ჩქარაც. გამანადგურებელი ქარიშხლის მოახლოვების ნიშანია პატარა ღრუბელი, რომლის ძირში ჩნდება ჯერ ძაბრისმავარი, შემდეგ კი ბოძის მსგავი პატარა ღრუბელი, რომელსაც ამერიკელები „სპილოს ხორთუმს“ ეძახიან. ეს „ხორთუმი“ თანდათან გრძელდება და უახლოვდება მიწას. მალე, თითქო მის შესახვედრად, ვინაიდან ეს „ხორთუმი“ იზიდავს, დედამიწიდან აიმართება „გადმობრუნებული ძაბრი“, რომელსაც თან მიაქვს ქვიშა, მტვერი, ხეების ტოტები. რამდენიმე წამს შემდეგ ორივე ძაბრი გაერთიანდება და საშინელი ძალით მიექანება წინ, რომ თავზარი დასცეს ყოველ ცოცხალ არსებას და მოსპოს, გაანადგუროს ყოველივე. ხეებს, ადამიანებს და ცხოველებს ძალიან შორს გაიტაცებს ხოლმე ეს ქარიშხალი. ბლოკგაუზებს (ხის სახლებს) ხშირად მოჰგლეჯს, 100 მეტრის მანძილზე აიტაცებს. ამავე დროს ხშირია უსაშინელესი ქექა-ქუხილი და სეტყვა.


რომ წარმოვიდგინოთ, რა საშინელი შედეგი მოჰყვება ხოლმე ასეთ ქარიშხალს, უნდა გავიხსენოთ, რომ 1896 წელს ტორანდომ გაანადგურა ქალაქი სან-ლუი, რამდენიმე წამში 20 მილიონი მანეთის ზარალი მიაყენა ქალაქს და 301 კაცი იმსხვერპლა. ძალიან ხშირად მოხდება ხოლმე შემდეგი: როგორც კი მიწყნარდება ერთი ტორანდო და შიშით ცოცხალ-მკვდარი ხალხი ამოძრავდება, რომ მიხედოს განადგურებულ კარ-მიდამოს და დაუწყოს ძებნა სადაც ჩალის ღეროსავით ჰაერში ატაცებულ და შორს გადატყორცნილ ადამიანებს, უცბად გაჩნდება მეორე ტორანდო და კვლავ დაიწყება თავზარდამცემი ამბავი. ხანდახან ასე ზედიზედ რამდენიმე ტორანდო ჩნდება.

ასეთი ქარიშხალი მხოლოდ ჩრდილო ამერიკაში კი არ იცის, ავსტრალიაშიც ხშირია იგი, სადაც მას ვილი-ვილის უწოდებენ.

ევროპის რუსეთში და განსაკუთრებით კი თურქესტანშიც, სამხრეთით, სადაც დღის განმავლობაში სითბო-სიცივეს შორის დიდი განსხვავება იცის, იშვი-

1) ტაიფუნი ჩინური სიტყვაა — „ტაიფინ“, ნიშნავს ძლიერ ქარს.

2) ტორანდოსი — ისპანიური „ტორანდა“, რაც ნიშნავს ბრუნვას, ტრიალს.



ტიფონი ჩრდილო ამერიკაში.

ათი არაა ქარიშხალი, მაგრამ მას ასეთი გამანადგურებელი ძალა არა აქვს.

ტიფონი („სმერჩი“) პატარა ტორანდოს წარმოადგენს. გაიხედავთ და ხედავთ სვეტს, რომელიც ფართოდება და თანდათან მიდის ერთი მიმართულებით. მისი გაჩენის მიზეზიც იგივეა, რაც ტორანდო — ტაიფუნების. თუ ჰაერი საკმაოდ ნოტიოა, ხანდახან ტიფონის ზემო ნაწილიდან გადმოეშვება ღრუბელი მიღებივით, წამოეშენს სეტყვა და წვიმა.

ხანდახან ჰაერის ტიფონი, როცა წყალზე გადაივლის, წყალს აიტაცებს და წყლის სვეტი, მეტად უცნაური ფორმის, სანახავად ფრიად საინტერესო გამამართლება წინ. თუ ფრინველები შეხვდნენ გზაზე ისინი ადვილად ვეღარ დააღწევენ თავს, ტიფონი მათთან გაიყოლებს ტრიალ-ტრიალით. ასეთი პატარა ტიფონი იყო ამ ექვსი წლის წინ ბათომში.

ჩვენი ჰავა ზომიერია, არც ზამთარია მკაცრი არც ზაფხულია მეტად ცხელი, დილასა და საღამო შორის სითბოს მხრივ მკაცრი განსხვავება არ არის და ჩვენთვის უცნობია ასეთი საშინელი ქარიშხლები რომლებიც მრავალი ასი მილიონი მანეთის ზარალს აყენებენ მცხოვრებლებს, მაგ. ამერიკასა და ავსტრალიაში და არა ერთ და ორ ათას ადამიანსა და ას ათასობით სულ საქონელს იმსხვერპლებენ ხოლმე ყოველწლიურად...

კიდევ უფრო საშინელია ტიფონი უდაბნოში სადაც ის აუარებელ ქვიშას აიტაცებს ჰაერში და, რამდენიმე სვეტად ამართული, მიექანება რომ სილის მორევში ჩაფლოს ყოველი ცოცხალი არსება. ვაი იმას, ვისაც მოუხწრებს უდაბნოში — ის განწირულია. ამ რამდენიმე დღის წინათ ფლორიდაში (ამერიკაში) ციკლონმა და მისგან გამოწვეულმა ნიაღვრებმა 1300 კაცი იმსხვერპლა და ოც მილიონ დოლარზე<sup>1)</sup> მეტი ზარალი მიყენა მოსახლეობას.

ვ. ბ.

1) დოლარი 2 მანეთს უდრის ჩვენს ფულზე.





## ჩინეთის პიონერები (გზავრის შთაბეჭდილებანი).

ახლა ჩინეთში რეაქცია მძვინვარებს. ჩინეთის ტერიტორიაზე დაძრწიან რეაქციის სისხლიანი ფინიები— გენერლები და მათი მსახურები, რომლებიც ეძებენ რევოლუციონური მოძრაობის მოღვაწეებს და მხეცური სისასტიკით უსწორდებიან მათ: სჭრიან თავებს, ახრჩობენ, ჯურღმულებში ამწყვდევენ და სხვა.

მაგრამ რეაქციის ეს გამოჯვება დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. სწორედ ამიტომ არის ასე გაფთვებული გენერლების კონტრრევოლუცია, რომელიც თვითონ გრძნობს თავისი არსებობის ხანმოკლეობას და სისუსტეს. მისი ღდეები დათვლილია, რადგანაც ის ველარ იარსებებს ხალხის თანდათან გაძვინვარებისა და ბრძოლაზე გადასვლის შემდეგ. ხალხის ეს მოძრაობა უკვე მოჩანს ხან ერთ ადგილას, ხან მეორე ადგილას: აჯანყება კანტონში, საბჭოთა ხელისუფლება მთელ რიგ მაზრებში: გუანდონში, ხუნანში, ცზიანში და სხვ. ექვი არ უნდა გვეპარებოდეს იმაში, რომ ახლო მომავალში მუშათა და გლეხთა მასების აჯანყების დიადი ტალღა შესძლებს დაანგრიოს კონტრრევოლუციის ტალღები.

უამრავი, მილიონი მასები ჩინეთის მშრომელი ხალხისა გამოფხიზლდნენ აქტიური პოლიტიკური ბრძოლისათვის უკვე პირველი რევოლუციის დროს 1925—1927 წ. და ამიტომ არავითარ ძალას არ შეუძლია კვლავ ძველ მდგომარეობაში ჩააყენოს ეს ხალხი. ამ მასებმა შეიგრძნეს თავისი უფლებები და ყოველდღე უფრო და უფრო სწავლობენ, თუ როგორ უნდა იბრძოლონ უკეთესად თავისი ინტერესებისათვის.

პოლიტიკური შეგნებით ამ გამოღვიძებულ მასას შორის უდიდესი ადგილი უჭირავთ ჩინეთის მშრომელ მუშებს, რომლებმაც ამ ორი წლის წინათ შექმნეს საუცხოვო პიონერული ორგანიზაცია და რომლებიც იბრძოდნენ რევოლუციონური ფრონტის პირველ რიგებში: ეს ორგანიზაცია განსაკუთრებით განვითარდა მაშინდელი რევოლუციონური ცენტრის—უხანის—ტერიტორიაზე. ამ ორგანიზაციის დაარ-

სებას ხელმძღვანელობდა კომკავშირი პროფკავშირთან ერთად.

რამდენიმე კვირის განმავლობაში უხანში დაიარაზმა 30 ათასი პიონერი, რომლებმაც დიდი აქტივობა გამოიჩინეს. ეს ორგანიზაცია მეტად თავისებური იყო: მასში შედიოდნენ სხვადასხვა ასაკის—11-12 და 16-18 წლის პიონეები. ისინი მშვენივრად მუშაობდნენ და დიდ საზოგადოებრივ საქმეებს აკეთებდნენ. ყველა დემონსტრაციის დროს იცავდნენ წესრიგს, საზეიმო ღდეებში ეწყობოდნენ შპალერებად; როდესაც სადმე გაჩნდებოდა ცეცხლი, ალყას არტყავდნენ ქუჩებს და თვალყურს ადევნებდნენ წესრიგის დაცვას; როდესაც მოხდა სი-დუ-ინაში აჯანყება, მაშინ მათ გადასწყვიტეს ფრონტზე წასვლა საბრძოლველად. როდესაც ეს აჯანყებული ქალაქი დაიპყრეს კონტრ-რევოლუციონერმა გენერლებმა, მაშინ იქ დახვრიტეს ორასამდე პიონერი.

პიონერ-ორგანიზაციამ მალე შეითვისა პიონერთა მიდრეკილებანი, ისარგებლა საბჭოთა კავშირის პიონერების გამოცდილებით, შემოიღო ფორმა, ყელსახვევი და სხვ. შემოიღეს მათ აგრეთვე თავისებურობაც: ჯოხები ხელში.

აღსანიშნავია, რომ პიონერები ხელს უშლიდნენ თითქმის ყოველთვის რეაქციონერთა კრებებს, სდევნიდნენ ოეაქციონერებს, ოპიუმის მსმელებს და ა. შ. ყოველივე ამას ისინი წარმატებით აკეთებდნენ.

საერთოდ ეს ბავშვები დიდ უკმაყოფილებას იწვევდნენ მთავრობის რიგებში. და ამიტომ ვან-ცზინგის არა ერთხელ უთქვამს გომინდანის სხდომებზე და კრებებზე იმის შესახებ, რომ პიონერების გამოსვლებს ბოლო უნდა მოღებოდა. ერთხელ მან სთქვა: „გაზეთში წავიკითხე, რომ პიონერები უკვე ერკვევიან, თუ რა არის იმპერიალიზმი, როგორ უნდა ვებრძოლოთ მას და სხვ. ეს, რასაკვირველია, სისულელეა,—ამბობს ის,—როგორ შეუძლიათ ბავშვებს გაერკვენ ამ საკითხებში? მე მოვიტხოვ, რომ გაზეთის რედაქტორს გამოეუცხადოთ საყვედური ასეთი

შენიშენისათვის და აგრეთვე განვიხილოთ ამ ორგანიზაციის არსებობის საკითხი“.

ეს მოხდა 1927 წლის მაისში, როდესაც ორგანიზაცია მხოლოდ იწყებდა გაძლიერებულ მუშაობას. და ამ დროიდანვე იწყება პიონერ-ორგანიზაციის დენა, მისი შევიწროება.


ამ დროს რეაქციონერმა გენერალმა სინ-დუ-ინმა დახვრიტა რამდენიმე ასეული პიონერი. ამ მდგომარეობამ, რასაკვირველია, რამდენიმედ შეასუსტა პიონერ-ორგანიზაცია. ხუბეის პროფკავშირთა საბჭოს, მთავრობის ბრძანების თანახმად, გამოაქვს დადგენილება, რომლითაც უქმდება დროებით პიონერ-ორგანიზაცია. დაადგინეს აგრეთვე, რომ მათთვის ჩამოერთმიათ ფორმა და ჯოხები.

შეეძლო პიონერის ფორმით გამოჩენილიყო ქუჩაზე; მათ სასტიკი სასჯელი მოელოდათ.

პიონერ-ორგანიზაცია მეტად მძიმე პირობებში ჩააყენეს.

პიონერ-ორგანიზაცია აწარმოებდა ეკონომიურ ბრძოლასაც. პიონერებს, რომლებიც, უმეტესად, იყვნენ ხელოსანთა მოწაფეები, ან სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეები, ერთ დროს შიშს ქვეშ ჰყავდათ თავისი „ხაზინები“. „ხაზინები“ ვალდებულნი იყვნენ, თანახმად პროფკავშირის გადაწყვეტილებისა, ეყიდათ პიონერებისათვის ფორმები. ამ ფორმებში ისინი იხდიდნენ 9 დოლარს.

შემდეგ აგრეთვე გატარებულ იქნა დადგენილება მოზდილთათვის სამუშაო დღის შემცირების შესახებ. მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმად



პიონერები ამზადებენ კედლის გაზეთს.

თავისი მიზნის შესასრულებლად პროფკავშირმა გამოაცხადა, რომ პიონერ-ორგანიზაციის წევრობა შეუძლიათ ბავშვებს არა უმეტეს 16 წლისა. შემდეგ მას მოჰყვა განკარგულება, რომ მასში არ შეიძლება იყვნენ აგრეთვე ავადმყოფები. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოიჩვენა, ავადმყოფების სახით იგულისხმებოდა მთავრობისათვის არასასურველი ელემენტები. ასეთ „ავადმყოფ“ ბავშვებს მრავლად აძევებდნენ პიონერ-ორგანიზაციიდან.

ასეთი გზით და მუშაობით პიონერ-ორგანიზაციის რიგები ათჯერ შემცირდა. მან ვერ შესძლო მუშაობის დაწყება, რადგანაც დაიწყო კონტრ-რევო-

დაც ხელოსანთა მოწაფეებსა და სავაჭროების მოსამსახურეებს უნდა ემუშავათ მხოლოდ 8 საათი. მეპატრონეები ვალდებულნი იყვნენ ხელწერილი დაედვათ ამის შესახებ და პასუხი ეგოთ თავის ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის. და როდესაც იყო შემთხვევები, რომ მეპატრონე, ძველი ჩვეულების თანახმად, თმებში ჩაფრინდებოდა ბავშვს, ან სცემდა, მაშინ პიონერი დაუსტვენდა, ასე შეიკრიბებოდა 30-40 მისი ამხანაგი პიონერი და ყოველივე ზომას იღებდნენ თავისი შეურაცხყოფილი ამხანაგის დასაცავად.

ცხადია, პიონერთა ასეთმა მოქმედებამ ძლიერ



დაწყებული მთავრობიდან და გათავებული მეპატრონეებით.

დაიწყო შევი რეაქცია, მაგრამ მოგონება ამ პერიოდის შესახებ მაინც დარჩა ცოცხლად პიონერთა გულში. მათ შეიგნეს კოლექტიური ბრძოლის მნიშვნელობა, მასიური ორგანიზაციის ღირებულება და სხვ. ეს კი არის ისეთი თესლი, რომლისაგანაც დიდ მოსავალს უნდა ველოდეთ მომავალში.

დანარჩენ ადგილებში, შანხაისში და კანტონში, პიონერ-ორგანიზაცია მხოლოდ აღმოცენდა, მაგრამ ფართოდ არ გავრცელებულა, რადგანაც ის ხელაღვე განადგურა შავმა რეაქციამ. უკანასკნელ დრომდე შანხაისში იყო ბავშთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, რომელიც არალეგალურად მუშაობდა. მას თავის რიგებში რამდენიმე ათასი წევრი ჰყავდა. საინტერესოა ის, რომ ეს ორგანიზაცია შექმნილი იყო რემედისის ხელმძღვანელობით.

მათ გამოსცეს თავისი ჟურნალი, რომელიც პირველ ხანებში ნახევრად არალეგალური იყო, ხოლო უკანასკნელად კი სრულიად არალეგალური გახდა. ჟურნალი საკმაოდ კარგია. მასში ათავსებენ ბავშბისათვის გასაგებ სურათებს და მოთხრობებს. ეს ჟურნალი მრავლად ვრცელდება. მას დიდი ინტერესით კითხულობენ მშრომელთა ბავშვები. ამ ჟურნალს გაათრებული სდევნიან მთავრობის აგენტები: მათ

წამკითხველს სასტიკად სჯიან და იყო შემთხვევებიც, რომ ციხეებში ჩასვენს და გაწყებლეს კიდევ.

7 ნოემბერს ამ ორგანიზაციამ დიდი დემონსტრაცია მოაწყო. ბავშვები მეტად აქტიური იყვნენ. ქუჩებზე მიდიოდნენ პლაკატებით, რომლებზედაც ეწერა:

„ჩვენ შიმშილით ვკვებით!“

„ძირს გომინდანი, რომელმაც ვასცა ჩინეთის მშრომელი ხალხი!“

„გაუმარჯოს ს.ს.რ.კ.!“

„გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ რევოლუციას!“

„გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“

ჩინეთის რეაქციამ, რომელიც მიისწრაფას რევოლუციონური მოძრაობის ფიზიკურად აღმიაფხვრისაკენ, შესძლო დროებით გაენადგურებია პიონერ-ორგანიზაციას. მაგრამ ის რევოლუციონური სული, ის უდიდესი რევოლუციონური აქტივობა, რომელიც მან გამოიჩინა წარსულში, იმის საუკეთესო საბუთია, რომ რევოლუციის ახალ გამოღვიძებაზე ეს ორგანიზაცია კვლავ აღორძინდება უფოო ძლიერად და თავისი ხელმძღვანელობით გაიყოლებს ჩინეთის მრავალმილიონიან ბავშთა მასებს, რომლებიც ეხლა მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობენ.

რ. ნ.



# როგორ აკეთებენ სურათებს კინოსათვის?

როგორ აკეთებენ სურათებს კინოსათვის? როგორ ახერხებენ გვიჩვენონ დიდი, გრძელი და ხშირად მეტად საინტერესო სურათი? მაგალითად, გვიჩვენებენ ისეთ სურათს, რომელშიც გამოხატულია სამოქალაქო ომი,—ომი თეთრგვარდიელებთან, ყაზალებთან; გვიჩვენებენ აგრეთვე შეტაკებებს, სოფლების დაწვას, მკვდრებს, დაჭრილ ადამიანებს, მატარებლის გადავარდნას ლიანდაგიდან და სხვ. ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც ნამდვილ ომს მოგაგონებს.

სინამდვილეში კი ამ სურათს გვიჩვენებენ და აკეთებენ, როდესაც არავითარი ომი არ არის.

ანდა კიდევ ასეთი მაგალითი: სურათში გვიჩვენებენ, თუ როგორ წავიდნენ 1905 წელს ლენინგრადის მუშები მეფესთან, რომ მისთვის ეთხოვათ მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება და როგორ შეხვდნენ მათ მეფის დამჩაშები ტყვიებით. ასეა ყველაფერი ნაჩვენები: როგორ ჰკლავდნენ მუშებს, როგორ ცდილობდნენ ადამიანები ტყვისაგან დამალვას და როგორ სცემდნენ და ანადგურებდნენ უიარაღო ხალხს კაზაკები. ყველაფერი ეს კი 23 წლის წინათ მოხდა. ნუთუ მას შემდეგ შენახული იყო ეს სურათი? ან ვინმეს განა მასშინ შეეძლო მისი გადაღება და დამზადება?

ზოგჯერ გვიჩვენებენ კიდევ შემდეგს: გვაჩვენებენ ქალღმრთის ადამიანს, დედოფალს. მაგრამ აი ეს დედოფალი მოულოდნელად იწყებს ღიმილს, სირბილს, ხტომას,—ისე, როგორც ცოცხალი ადამიანი.

როგორც ამ მაგალითებიდან გაიგეთ, ყოფილა ისეთი ხერხი, საშვალეობა, რომლითაც ყველაფერი ეს კეთდება. თუ როგორ ხდება ყოველივე ეს, ამის შესახებ გვექნება სწორედ ქვემოთ ლაპარაკი.

წინათ ასე ხდებოდა, რომ რომელიმე მეცნიერი წავიდოდა სამოგზაუროდ უცხო, უცნობ ქვეყანაში, დარჩებოდა იქ რამდენიმე ხანს, გაეცნობოდა იქაურ წესებს, ჩვეულებებს, შეიძლება აგრეთვე დაეხატა მთა, რომელიმე მდინარე, ან კიდევ სხვა რაიმე; შემდეგ დაბრუნდებოდა თავის ქვეყანაში, აღწერდა ყველაფერს და ასე გამოუშვებდა წიგნს თავისი მოგზაურობის შესახებ.

შემდეგ ასეთი მოგზაურობის დროს მეცნიერებმა დაიწყეს ფოტოგრაფიული აპარატების თან წაღება. მათი საშუალებითვე ისინი იღებდნენ ბუნებას, ხალხს და ასე აკეთებდნენ სურათებს თავისი წიგნებისათვის.

ესლა იმ მოგზაურებს მიჰყავთ თან კაცი, რომელსაც შეუძლია გადაიღოს ყველაფერი გადასაღები კინო-ხელსაწყოთი. ასეთ კაცს უწოდებენ კინო-ოპერატორს. რასაც შეხვდება ის საინტერესოს, ხელაღვე იღებს ლენტზე. შემდეგ ამ ლენტს უჩვენებენ სხვადასხვა ადგილებში, და ყველანი, ვინც ნახავს მას, ვიგებენ იმ ქვეყნის შესახებ, სადაც იყვნენ ეს მეცნიერები და მათი მოგზაურობის შესახებ.

ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა მეტად დიდია, მასში ცხოვრობს სულ სხვადასხვა ხალხი. არის მასში სხვადასხვა მთები, მდინარეები, ზღვები, ტყეები, ტბები და უდაბნოები. ყველაფერი ეს ან უკვე გადაიღეს, ან ეხლა იღებენ. ასე რომ თითოეულს ეცოდინება თავისი ქვეყანა, ხოლო ამისი ცოდნა კი საჭიროა. ბევრი საინტერესო, ბევრი კარგი რამ არის მასში.

როგორც ჩვენს ქვეყანას, ისევე იღებენ კინოსათვის სხვა ქვეყნებსაც. ესეც საჭიროა და მეტად საინტერესოა. აი, მაგალითად, ამერიკაში ერთ ჰექტარ მიწაზე დაახლოებით 3200 კილო ხორბალი ან ქერი მოჰყავთ, ან კიდევ უფრო მეტიც, ხოლო რუსეთში კი მხოლოდ 1000 კილო ქერი ან ხორბალი მოჰყავთ იმავე სიდიდის ნაკვეთზე.

რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ იქ სულ სხვაგვარად მუშაობენ, სულ სხვაგვარად ეპყრობიან მიწას. იმიტომ ჩვენთვის სასარგებლოა შევხედოთ, თუ როგორ მუშაობენ იქ. აი რისთვის შეიძლება გამოგვადგეს ასეთი ლენტი. არის კიდევ ისეთი ლენტებიც, რომელზედაც ნაჩვენებია, თუ როგორ მუშაობენ ფაბრიკებში, როგორ აკეთებენ მუშები, მაგალითად, ლურსმნებს, მანქანებს, ქსოვილებს.

ადვილი გასაგებია, თუ როგორ კეთდება ასეთი ლენტები. ადამიანი, რომელსაც დავალებული აქვს ეს საქმე, ადგილობრივ მიდის აპარატით და იქ იღებს ყველაფერს, რაც ესაჭიროება.

ხშირად გვიჩვენებენ სურათს, რომელიც გაზეთს წაგავს: გვიჩვენებენ, რა მოხდა მოსკოვში, ჩინეთში, გერმანიაში და სხვაგან. ასეთ სურათს აკეთებენ სხვადასხვა ნაწილებისაგან; ამ ნაწილებს კი რამდენიმე ადამიანი იღებს სხვადასხვა დროს.

შემდეგ წერილში გავეცნოთ, თუ როგორ აკეთებენ იმ ხასიათის სურათებს, რომელთა შესახებაც ამ წერილის დასაწყისში გვქონდა ლაპარაკი.





# მეცნიერება და მშენიქა

## თანამედროვე ავტო და ავიო ტექნიკა და დიდი უღაზროების საიდუმლოებანი

ცენტრალური აზიის და აფრიკის დიდ და მიუყვალ უღაზროებში ადამიანის შექრა, მისი საიდუმლოების გაგება, ბევრ შემთხვევაში მიეყრება, არა მარტო ადამიანების სურვილს დაანებოს. არამედ ტექნიკა-მეცნიერების განვითარებასაც. რამდენათ ვითარდება ტექნიკა, იმდენათ იზრდება ახალ-ახალი მიხწევებისათვის შესაძლებლობანი.

ამ რიგის საშუალებებს ეკუთვნის დიდ უღაზროების გამოსაკვლევად ავტომობილი და ჰაერობლანი, რომლის საშუალებით უკვე ადამიანები შეიქრენ დიდ უღაზროების ისეთ ადგილებში, სადაც არა დროს არ დადგმულა ადამიანის ფეხი და საიდუმლოებით მოცლი იყო ყველაფერი.

ავტომობილის საშვალებით კი შეიქნა შესაძლებელი, რომ მთელ რიგ სამეცნიერო ექსპედიციებს გამოეყვლიათ ჯერ გამოურყვეველი ველური ადგილები.

ხშირათ იმ ადგილას, სადაც მთა გორებია და ავტომობილის გამოყენება შეუძლებელია, მიმართავენ მეორე ძლიერ საშვალებას—ჰაერობლანს, ამ გზით შეიქნა შესაძლებელი ერთი წლის წინ მკვლევარ კებროროდს გამოეკვლია საქარის უღაზროში მდებარე მთა-გორა ხოგარა.

ავტომობილის დანიშნულება ხშირად იმაშიცაა, რომ მის საშვალებით შეიძლება გადატანილ იქნეს დიდ ძალი სურსათი, რომლის გადატანა აქლემებით ან სხვა საშვალებით არ ხერხდება.

საინტერესოა ადგილობრივი ველური მცხოვრებლების დამოკიდებულება ავტომობილთან. ავტომობილის დანახვა ველურებში დიდ შიშს იწვევს, ისინი მის დანახვაზე გარბიან და სხვა, მაგრამ არის შემთხვევა, რომ ცნობის მოყვარეობაც სძლევს და დიდი ინტერესით ათვალიერებენ მას.

ავტო და ავიო ტექნიკის გამოყენება უღაზროებში პირველათ იტალიელებმა და ინგლისელებმა ცადეს, მაგრამ რასაკვირველია არა მეცნიერული მიხვნებით არამედ სამხედრო საომარი მოქმედებისათვის. ასე, რომ ჰაერობლანის და ავტომობილის უღაზროებში გამოყენების ისტორიაც, დაკავშირებულია კაპიტალისტური ძარცვის ზრახვებთან. განსაკუთრებით დღევანდელ დღეს, როცა სასტიკი ბრძოლა სწარმოებს კოლონიებისათვის, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ უღაზროების ადგილებისათვის სხვა და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები.

ძართალია კაპიტალისტური ქვეყნები ავტო-ავიო ტექნიკას უმთავრესად იყენებენ ამ შავი მატერიკის დასა-

პურობათ და მისი სიმდიდრის დასატაცებლათ, მაგრამ მთელი რიგი ავტო-ავიო ექსპედიციები მეცნიერული გამოკვლევის მიხვნებითაც სწარმოებს, რაც რასაკვირველია კაპიტალისტური წყობილების კარნახით ხდება, მას ბურჟუაზია იყენებს, მაგრამ მეორე მხრივ ეტოგრაფიულ, გეოგრაფიულ, გეოლოგიურ და ანტროპოლეგიურ მეცნიერებასაც ამდიდრებს.

შავი მატერიკის მკვლევართა შორის საყურადღებოა მიხწევები მკვლევარ ბრიუნო და ლაბორის, მან დაიწყო თავისი მოგზაურობა ჯერ კიდევ 1921 წლიდან და პირველათ გადასჭრა საიდუმლო ხოგარი, რომლის შესახებ მანამდის არაფერი იცოდენ.

მეორე და მესამე მოგზაურობის დროს მან დაიარა ადამიანის მიერ გაუყვლი ადგილები და სინათლე მოფინა იქ მცხოვრებ ველურების ტუარეგების და ტიბუს ზნე ჩვეულებებს.

შემდეგ საინტერესოა 1925 წლის სიტროენის ექსპედიციის მიხწევები. ეს ექსპედიცია შეიარაღებული იყო ყოველგვარი საშვალეებით მან მოაგროვა მდიდარი კოლექცია, მოახდინა კინომატოგრაფიული გადაღებები სხვა და სხვა ველურ ტომების ყოფა-ცხოვრებიდან და სხვა.

ამ რიგათ შესაძლებელი შეიქნა უღაზროების საიდუმლო ადგილებში, არა თუ მარტო შექრა, არამედ მათი გამოკვლევა.

გახშირებულ ექსპედიციებმა და მოგზაურობამ უღაზროებში, ის ნაყოფი გამოიღო, რომ შესაძლებელი შეიქნა შავი მატერიკზე სრული წარმოდგენის მიღება, დაკავშირებით ამასთან ერთათ გაადვილდა მოგზაურობაც, გზების და პირობების გამოძენის წყალობით. ასე მაგალითათ უღაზროებში მოგზაურობა უკვე ბავშვებისათვისაც კი გახდა შესაძლებელი, გახშირდა სასპორტო გადაბენებიც, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ უშიშრად პატარებიც.

იმ ადგილებში სადაც უღაზროში დიდ-ძალი სილაა, გზების გაკვლევა ხდება, ხელოვნურად მოგროვილი ქვების წკრივების საშვალეებით.

ცენტრალურ აფრიკის, ეკვატორიალურ ტყეებში ავტომობილის მოძრაობა ხდება, ნადირის ბილიკების მიხედვით განსაკუთრებულათ სპილოების ნაკვალევებზე.

შავი მატერიკის უღაზროები საიდუმლოებით და დიდ სიმწლეებითაც მოცული, მაგრამ ადამიანი თავისი მეცნიერების და ტექნიკის საშვალეებით თავისას შვება.



# სსშრ სსრკ

# სსრკ

## რუმინეთი.

რუმინეთს სიდიდით დასავლეთ მეზობელთა შორის მეორე ადგილი უჭირავს. ჩრდილოეთით მას საზღვრავს პოლონეთი და ჩეხო-სლოვაკეთი, დასავლეთით უნგრეთი, სამხრეთით—სამხრეთ სლავეთი და ბოლგარეთი, აღმოსავლეთით კი—ჩვენი საბჭოთა კავშირი. რუმინეთს უჭირავს 300 ათასი კვადრატული კილომეტრი 18<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიონ მცხოვრებლებით. რუმინეთში კარგი ჰავაა და კარგი მოსავლიანობაც იცის. იგი უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო კუთხეა. აქ მოსახლეობის 80 პროცენტს გლეხობა შეადგენს. რუმინეთი ძლიერია ნავთით, რკინის მადნითა და ქვა-მარილით. მრეწველობა აქ სუსტადაა განვითარებული, და რაც არის ისიც უცხო კაპიტალისტების ხელშია.

რუმინეთის მოსახლეობის სიღარიბის მიზეზია ის, რომ მიწა თანაბრად არაა იქ განაწილებული. ეს ქვეყანა ნამდვილი მემამულეთა ქვეყანაა („ბოიარების“).

უკანასკნელი გამოხატავს მათი თვითღირსეულობის მემამულეებზე საშუალოდ 900 ჰექტარი (ჰექტარი ცოტათი მეტია დესიატინაზე) მიწა მოდის. თვითღირსეულობის გლეხს კი—საშუალოდ 3 ჰექტარი მიწა თუ ექნება.

გლეხებს რუმინეთში არ ყოფნით ასეთი მცირეოდენი მიწა და ამიტომ ისინი იძულებულნი არიან მემამულეებისაგან იჯარით აიღონ მიწები. ამით სარგებლობენ მემამულეები და მიწებს სანახევროდ აძლევენ.

რუმინეთის აუარებელი გლეხობა სიმშვილეს განიცდის. სიმშვილეს გარდა გლეხები განიცდიან დიდ შევიწროებას სახელმწიფოსაგანაც, რომელიც გლეხებს დიდ გადასახადებს ახდევინებს. რუმინეთის 85 პროცენტი მოსახლეობისა წერა-კითხვის უცოდინარია.

რუმინეთის მცირერიცხოვანი მუშათა კლასიც დიდ სივიწროვს განიცდის. მუშები რუმინეთში ათ საათს მუშაობენ და მცირეოდენ ხელფასს ღებულობენ. ხშირია რუმინეთში უმუშევრობა. რუმინეთში მუშათა კლასი უნდაარმერის დიდ დევნას განიცდის.

რუმინეთის მშრომელები მტრულად არიან განწყობილნი ხელისუფლებისადმი, ამიტომ აჯანყებებსაც იქ ხშირად აქვს ადგილი. მაგრამ რუმინეთის კაპიტალისტებს მაგრამ უჭირავთ ხელში სახელმწიფო ძალაუფლება, მათ ხელშია ჯარი, პოლიცია, სასამართლო და ამიტომ სიმკაცრით სდევნიან მუშაობის მშრომელებს.

რუმინეთში არის მეფე და პარლამენტი რომელიც (შესდგება სენატისაგან და დეპუტატების პალატისაგან). პარლამენტში მოკალათებულია რუმინეთის ბოიარები (მემამულეები) და ბურჟუაზია, რომლებიც ქვეყანას ისე განაგებენ როგორც სურთ.

რუმინეთის ბურჟუაზიას ჰყავს ორი დიდი პოლიტიკური პარტია ერთია „ლიბერალური“, ეს პარტია მსხვილი ბურჟუაზიისაგან შესდგება. ამ პარტიის ლიდერებია ბრატიანუ და დუკა.

მეორე კი „სახალხო“ პარტიაა, რომელიც შესდგება წვრილი ბურჟუაზიისაგან და ამ პარტიის ლიდერია გენერალი ავარესკუ.

1926 წლამდე რუმინეთის პარლამენტში გაბატონებული იყო „ლიბერალური“ პარტია. ამჟამად კი პარლამენტის უმეტესობა შესდგება „სახალხო“ პარტიისაგან და მთავრობის სათავეშია გენერალი ავარესკუ. მაგრამ ამი მშრომელთა მდგომარეობა სრულიად არ შეცვლილა რუმინეთის გლეხობა ძველებურად განიცდის სიღატაკს ხოლო მუშები უნდაარმერის დევნის ქვეშ იმყოფებიან.

რუმინეთში არის გლეხური პარტიაც, ეგრედ წოდებული „ცარანისტის პარტია“, რომელიც კულაკურ გლეხთა სულისკვეთების გამოხატველია.

რუმინეთში არის სოციალ-დემოკრატიული პარტიაც, რომელიც ბურჟუაზიასთან ხელი ხელჩაკიდებული მუშაობს, ამიტომ იგი მუშათა კლასის ნდობას თანდათან ჰკარგავს, სამაგიეროდ იზრდება კომუნისტური პარტია, რომელიც რუმინეთში იატაკ ქვეშ იმყოფება. კომუნისტების რუმინეთში იჭერენ, სტანჯავენ, მაგრამ მათი ნდობა მშრომელთა შორის დღითი დღე იზრდება.

ომამდე რუმინეთი პატარა სახელმწიფოს წარმოადგენდა მაგრამ ომის შემდეგ იგი ძალზე გაიზარდა, ვინაიდან ანტანტამ რუმინეთს მისცა დაშორებული ქვეყნების (ავსტრიის, ვენგიის და ბულგარეთის) მიწები. 1918 წელს მოტყუებითა და შეიარაღებული ძალით რუმინეთმა ხელში ჩაიგდო საბჭოთა კავშირის ქვეყანა—ბესარაბია. ბესარაბიის მცხოვრებნი რუმინეთის ხელში განიცდიან დიდ შევიწროებას, მათ სურთ რამენაირად დაახწონ თავი რუმინეთის ბატონობას, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ, ვინაიდან რუმინეთის მთავრობა მათ შოთხობილებს სიმკაცრით უპასუხებს.

რუმინეთს ამიტომ მეზობელ სახელმწიფოსთან არ აქვს კარგი განწყობილება. მისი მფარველია საფრანგეთი და ინგლისი.

კაპიტალისტური ქვეყნები რუმინეთს აქებებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რუმინეთის მთავრობა მშრომელთა ხარჯით და ნაესესხები ვალების საშუალებით დიდ რიცხოვას ჯარს ინახავს, რომელსაც ახლავს გავეცნობით.

რუმინეთის არმია შესდგება 158 ათასს კაცისაგან. სულ რუმინეთში 21 დივიზია და 21 ცხენოსანთა პოლკია. რუმინეთს აქვს 75 ტანკები, 4 ჯავშნიანი მატარებელი და 34 ჯავშნიანი მანქანები. ამას გარდა რუმინეთის სანაპირო ჯარი, 17 ათასი კაცისაგან შესდგება. რუმინეთს ჰყავს აგრეთვე ძლიერი უნდაარმერია, რომელთა რიცხვი 30 ათასამდე აღწევს.

როგორც მკითხველი დაინახავდა ჩვენ მეზობელ სახელმწიფოში ჯარს აძლიერებენ და ემზადებიან ჩვენი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის წინააღმდეგ; ჩვენი მოვალეობაა დაწვრილებით გავეცნოთ მეზობელ სახელმწიფოებს, რომლებიც ჩვენს სამტროდ ემზადებიან.



# ჩვენი სმოვნება და მუშაობა

## სუსტად ვმუშაობთ.

მე-9 შრომის სკოლის ნ. პიონერთა კოლექტივის 3 წლის ისტორია აქვს; მიუხედავად ამისა, მუშაობა ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ დაყენებული. კოლექტივის მუშაობა, როგორც პირველ წელიწადს, ისე მიმდინარე წელსაც მოისუსტებს. ამის მთავარი მიზეზია ხელმძღვანელობის უქონლობა.

კოლექტივის მუშაობა შემდეგში მდგომარეობდა: მონაწილეობის მიღება დღესასწაულების დროს, წრეების მუშაობაში, კედლის გახ. თების გამოშვებაში და კერძოდ სასკოლო მუშაობაში.

პიონერები სამხედრო საქმის დარგში კარგად მუშაობდნენ, ასე რომ ამ მხრივ არ ჩამორჩებოდნენ კომკავშირელებსაც. მოწყობილ იქნა მთელი რიგი ექსკურსიები, სახელდობრ 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში, მთავარ სახელოსნოში, ზაპსში და სხვაგან.

კოლექტივი სუსტ მუშაობას აწარმოებდა ჩვენი პრესის გავრცელებაში. პიონერები არ იწერდნენ

„ახალგაზრდა კომუნისტს“ და არც „პიონერს“. მთავარი ნაკლი კოლექტივის მუშაობაში უგეგმობა იყო. ნაკლად ჩაითვლება აგრეთვე კოლექტივის მუშაობის გაუშუქებლობა კედლის გაზეთში. კოლექტივში მოისუსტებდა დისციპლინის და პიონერების პოლიტიკურად მომზადების საკითხები. კოლექტივის არ ჰქონდა კავშირი მეზობელ კოლექტივებთან, რის გამოც მუშაობა შედარებით უსიცოცხლო იყო.

პიონერები ვერ ახერხებდნენ მუშაობაში ახალი ძალების ჩათრევას, რამაც გამოიწვია ორგანიზაციის საგრძნობი დასუსტება. კომკავშირის უჯრედი და განსაკუთრებით უჯრედიდან გამოყოფილი ამხანაგები ვერ მუშაობდნენ აქტიურად.

კოლექტივის მუშაობის მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ოთახის და საჭირო თანხების უქონლობა.

ა. ბილანიშვილი

## როგორ ვმუშაობთ.

ქ. თელავის ა.კ.ი-ს სახელობის ნორჩ პიონერთა კოლექტივი 1924 წლის 1 იანვარს დაარსდა. ამ ხნის განმავლობაში ის ნაყოფიერად მუშაობს. ჩვენი კოლექტივი აერთებს 168 პიონერს და ოქტომბრელს. აქედან ქალია 83, ვაჟია 85; ჩვენი კოლექტივი მიმაგრებულია აღმასრულებელი კომიტეტის უჯრედთან, რომელიც დიდ დახმარებას გვიწევს. ჩვენ ყოველ ორ კვირაში სისტემატიურად ვუშვებთ კედლის გაზეთს, რომელშიაც პიონერები დიდ მონაწილეობას იღებენ. ჩვენი გაზეთის სათაურია „პიონერის გამოძახილი“. კოლექტივში გვაქვს სამკითხველო, სადაც პიონერები ჩაბმული არიან მუშაობაში. გამოწერილი გვაქვს წიგნები და გაზეთები. ამას გარდა გვაქვს სახელოსნო, სადაც პიონერები აკეთებენ სხვადასხვა მოდელებს.

კოლექტივში არსებობს სანიტარული წრე, რომლის მეცადინეობით ყოველ კვირაში ერთხელ ექიმი

პიონერებს წიგნებს უკითხავს. კოლექტივში მოწყობილი გვაქვს სხვადასხვა კუთხეები: ლენინის, პიონერის, რემედასის, სამხედრო და ბუნების კუთხე. ჩვენი კოლექტივი აწყობს ხოლმე საღამო-წარმოდგენებს პიონერთა მშობლებისთვის. ამ ზაფხულის განმავლობაში მოვაწყეთ გურჯაანში ექსკურსია, სადაც ვაგვეცანიტ გურჯაანის პიონერთა კოლექტივის მუშაობას და ისინიც ვაეცვენ ჩვენს მიზაობას. ორივე კოლექტივმა მოაწყო ექსკურსია შუამთაში. საშემოდგომო პერიოდში მუშაობის პირობები სხვაა და ჩვენც ჩვენი ყურადღება სკოლებში და საზოგადო სახლებში გადავიტანეთ. კოლექტივის მუშაობა ნაყოფიერად უნდა ჩაითვალოს.

ს. ბეჟანოვი



## მხირა ტალღები.

როგორც ცნობილია, რადიომოყვარულთა საწმინდო ამერიკა, ამერიკაშივე შენიშნეს პირველად მცირე ტალღების განსაკუთრებული თვისებები.

რას წარმოადგენს თავისთავად მაინც მცირე ტალღები, როგორც განსაკუთრებული თვისების მქონე მოვლენა.

ჩვენ ვიცით, რომ ყოველ რადიოსადგურს აქვს გრძელი ტალღები, რომლის საშვალებით ის იძახის, როცა უნდა, რომ მას მოუსმინონ.

აი თქვენ დგებართ ტბის პირად, დაბერა ქარმა და წყლის ზედაპირზე გაჩნდა გრძელი ტალღები, მაგრამ საკმარისია ჩაავლოთ ამ დროს წყალში კენჭი, რომ ტალღები გაიზრდეს და მათ შორის მცირე ტალღებიც. ასეთისავე სურათს წარმოადგენს რადიო-მოვლენაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არ შეიძლება მისი მოძრაობის და რყევის დანახვა.

მცირე ტალღები რადიო-ტექნიკაში ეწოდება ისეთ ტალღებს, რომელთა სიგრძე უდრის 100 მეტრს.

რაზეა დამოკიდებული რადიოსადგურის ტალღების სიგრძე? რადიოსადგურიდან ტალღები გარბიან ერთნაირი სიჩქარით. ეს სიჩქარე ძლიერ დიდია, იგი უდრის წამში 300,000 კილ. რამდენადაც მოკლეა ტალღა, იმდენად ზედმეტი ტალღების გამოშვება უნდა შესძლოს რადიოსადგურმა. თუ ტალღების სიგრძე 100 მეტრია, მაშინ რადიო სადგურს შეუძლია წამში 3 მილიონი ტალღის გამოშვება. თუ ტალღა უდრის 10 მ., მაშინ 30 მილიონის.

ამ მოკლე ტალღების გამოყენება, რომელთა სიჩქარე ზედმიწევნით დიდია, თხოულობს განსაკუთრებულ მოპყრობას და ცოდნას, ვიდრე ჩვეულებრივი რადიო-ტალღა, რომელსაც დიდი გასავალი აქვს რადიომოყვარულთა შორის. ამ ტალღებს აქვს თავისებურებაც, განსაკუთრებით, თუ რადიომოყვარულს სურს არა თუ მარტო მოსმენა, არამედ ლაპარაკიც. ეს ტალღები ვრცელდება საკმაოდ დიდ მანძილზე. ინგლისიდან ამერიკაში ატლანტიის ოკეანეზე გაბმულ იქნა კავშირი 2-ვატიანი გადამცემის საშუალებით.

მოკლე ტალღების საშვალებით, ჩვეულებრივი რადიომოყვარულთა „მიკრო“ სანათით და თავის სახლის წინ გაბმული მცირე მავთულის საშვალებით შეიძლება დიდ მანძილზე გადაძახება. ამიტომ იპყრობს ფართო ყურადღებას მოკლე ტალღები. მოკლე ტალღების საშვალებით შესაძლებელი შეიქნა ეგრეთწოდებული „საშინაო“ ან „ჯიბის რადიოს“ მოხმარება.

ისმება საკითხი, რატომ აქვს მოკლე ტალღებს ასეთი თვისება.

ეს რომ აეხსნათ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ რადიო-ტალღები ელექტრონული მოვლენაა და მათი გადაცემა არ შეიძლება გამტარებლის საშვალებით. ელექტრონი გამტარებელი საგნებიდან აკეთებს ანარეკლს, ისე, როგორც სარკეში მზის სხივი; ფიქრობდენ, რომ მოკლე ტალღები ანარეკლს აკეთებენ ატმოსფერული ფენებიდან.

ატმოსფერის მაღალი ფენები მზისგან იყვანებოდა ერთგვარი ელექტრონული შემადგენლობით, ამას გარდა მზის ულტრა-იისფერი ტალღები ისე არხევენ ჰაერის ფენებს, რომ ისიც არხევენ ელექტრონებს, ეს ორი მიზეზი კი ხელს უწყობს იმას, რომ ელექტრონობით დატენილ ჰაერში გატარდენ რადიო-ტალღები.

აქ მნიშვნელობა აქვს ჰაერის მდგომარეობასაც. ასე რომ უამინდობით შესაძლებელია რადიომოყვარულს არც კი დაემორჩილოს რადიო-ტალღა.

ხშირად ამ ნიადაგზე ადგილი აქვს სასაცილო შემთხვევებს, ასე, მაგალითად, ახლოველი სადგური სწყვეტს იმ სიგნალების მიღებას, რომელიც ამავე დროს ესმის ძლიერ შორეულ სადგურს, რამდენიმე ათასი კილომეტრის იქით.

ბარალელურად იმ მიხვევებთან, რომელსაც წარმოადგენს მოკლე ტალღების გამოყენება, სწარმოებს ამ მაღალი ფენის თვისებების გამორკვევა, რომლის შედეგად შესაძლებელია მივიღოთ „ჯიბის“ რადიო, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, გავიგოთ მთელ რიგ მოვლენათა საიდუმლოებანი, როგორც, მაგალითად, ციკლონების წარმოშობა და სხვა.



# თავისუფალი

**მოთამაშეთა რიცხვი:** ლუწი (არა ნაკლებ  
ოთხისა).

**სათამაშო ადგილი:** მოედანი, დარბაზი ან  
ფართო ოთახი.

**მომზადება თამაშისათვის:** მიწაზე ან ია-  
ტაკზე მოხაზავენ ოთხკუთხედს, ან წრეს, დია-  
მეტრით 5 ან მეტი ნაბიჯი.

მოთამაშენი აირჩევენ ორ მეთაურს, გაი-  
ყოფიან ორ ჯგუფად და კენჭის ურით არ-  
კვევენ, თუ რომელმა ჯგუფმა უნდა გამოუოს  
პირველი მოთამაშე.

**თამაშის აღწერა:** ერთ-ერთი ჯგუფთაგანი  
გამოეოფს თავის მოთამაშეს, მეორე ჯგუფის  
მეთაური გზაჯინის მის მოწინააღმდეგეს. ორივე  
მოწინააღმდეგენი წრეში ჩადგებიან და ცდი-  
ლობენ იქიდან ერთმანეთის გამოკვანას. იმ  
ჯგუფს, რომლის მოთამაშეც გამოკვდეს წრი-  
დან, მოწინააღმდეგე მოუგებს ერთ ქულას.  
ასე ამნაირად წვეილ-წვეილად გამოდიან  
ორივე ჯგუფიდან მოთამაშენი და ცდილო-  
ბენ ერთმანეთის წრიდან გამოკვებას. თამაში  
თავდება, როდესაც ვეველა მოთამაშენი მოი-  
ვლიან თამაშს. მოგებული რჩება ის ჯგუფი,  
რომელსაც მეტ ქულა ექნება.

**თამაშის წესები:** 1. მოთამაშეებს გზაჯინან  
ჯგუფები რიგ-რიგად. პირველ მოთამაშეს  
გზაჯინან კენჭის ურით.

2. ბრძოლა იწყება წრის ცქიტოდან, სა-  
დაც უნდა დადგენ ორივე ჯგუფის მოთა-  
მაშენი.

3. ბრძოლა სწარმოებს ნაირ საშუალე-  
ბით. მაგალ. ხელების მიწოლით, ბეჭების  
მიწოლით, შეჭიდავებით, ხოლო აკრძალუ-  
ლია ფეხებში ხელების მოკვება და მოწი-  
ნააღმდეგის ისე გამოთრევა.

4. დამარცხებულად ჩაითვლება ის, ვინც  
ორივე ფეხით გამოვა წრის გარეთ. ხოლო  
წრიდან ცალი ფეხით გადმოსვლა დამარ-  
ცხებად არ ჩაითვლება.

5. დამარცხებულად ჩაითვლება აგრეთვე  
ის, ვინც მეორე და მესამე მუხლს დაარ-  
ღვეს.

6. ბრძოლა ჩაითვლება უშედეგოდ, თუ  
ბრძოლის დროს წრიდან ორივე მოთამაშე  
გამოვიდა.

7. გამარჯვებულის ჯგუფი მოიგებს ერთ  
ქულას.

8. როდესაც თამაშს მოივლიან, როგორც  
ორივე ჯგუფი, აგრეთვე მათი მეთაურები,  
თამაში დამთავრებულად ითვლება და მოკვ-  
ებული ის ჯგუფია, რომელსაც მეტი ქულა  
ექნება.

გაგოღის 1928 წ. გაგოღის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

→ ჟ უ რ ნ ა ლ ი ←

მ ო ჯ რ დ ი ლ თ ა თ ვ ი ს

# პ ი ო ნ ე რ ი

წ ე ლ ი წ ა დ ი III

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს. ს. ს. რ. ყ ვ ე ლ ა ს ო ლ ი ს ა თ ვ ი ს ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებას გამოიწერონ

## პ ი ო ნ ე რ ი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით.

წელიწადში	— 5 მან.
ექვს თვეს	— 3 მან.
სამ თვეს	— 1 მაკ. 50 კან.

საღპე ნომერი — 25 კაკ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 22, სახელებში (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „ოქტობრული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარაღაქსიო კოღაღია.